ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 7 აპრილი, 2016
№82 (7008)
ფასი: 50 თეთრი

7 აპრილიდან
ლაშა თაბუკაშვილი
ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!
„ახალ თაობასთან“ ერთად
ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




# რა გარიგება შედგა კვირიკაშვილსა და მარგველაშვილს შორის



გვ.3

## გიგლა ბარამიძე: „სააკაშვილი ვარდების რევოლუციას ველარ გაიმეორებს“



## რამაზ საყვარელიძე: „წინასაარჩევნოდ პრემიერის შეცვლა დესტაბილიზაციის წყარო იქნება“

გვ.2



„სახელმწიფო კონტროლი პარტიების დაფინანსების წესზე აუცილებელია“

## ზაზა დავითაიას თავს დაესხნენ

ხელჩართული ჩხუბი საქალაქო სასამართლოში

გვ.3



„როგორც მოსალოდნელი იყო, სააკოვის კომკავშირლებმა – თავისუფალი ზონის წევრებმა, საქალაქო სასამართლოში მოაწყვეს პროვოკაცია, რის შედეგადაც რამაზ გაგნიძე, ზვიად ტომარაძე, ლადო სადღობელაშვილი, გიორგი ბაბუხადია, გიორგი ონიანი, ნაუმი გაფრინდაშვილი და მარიამ მინდორაძე დააკავეს. იმის მიუხედავად, რომ მოსალოდნელი პროვოკაციის თაობაზე მე წინასწარ მქონდა ინფორმაცია და ამის შესახებ საჯაროდ კიდეც განვაცხადე, სამწუხაროდ, პოლიციელებმა ვერ უზრუნველყვეს დაპირისპირების აღკვეთა“



## შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ მაჟორიტარებს ვერ გაიყვანს“

გვ.4

„ოცნებისა“ და რესპუბლიკელების ჭიდაობით არცერთ მათგანს არაფერი შეემატება“

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## ბაჩუკი ქარდავა: „არჩევნების 8 ოქტომბერს დანიშვნა მოულოდნელი იყო“

გვ.5



„13 პოლიტიკური ორგანიზაციაა შეკრებილი, მიმდინარეობს პოზიციების შეჯერება, ვყალიბდებით და ამიტომ წინასწარ ვერ გეტყვით, როგორ განვითარდება მოვლენები“

# რამაზ საყვარელიძე: „წინასაარჩევნოდ პრემიერის შეცვლა დესტაბილიზაციის წყარო იქნება“

ნონა ცაბაძე

საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი რამაზ საყვარელიძე განიხილავს.

***– ბატონო რამაზ, ოპოზიცია პროტესტს გამოთქვამს, რომ ხელისუფლებამ კოდექსი გიორგი კვირიკაშვილს მოარგო. როგორია თქვენი შეფასებები ამ საკითხზე?***

– რა თქმა უნდა, ეგ აზრი გაჩნდა, როგორც კი ითქვა ამ ცვლილების თაობაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ანალოგიური ცვლილება მოხდებოდა ყველა შემთხვევაში, ვინც არ უნდა ყოფილიყო ხელისუფლებაში.

***– თუნდაც ის ოპოზიციონერები, რომლებიც დღეს ამას აპროტესტებენ?***

– მათ შორის ოპოზიციაც. ნუ დაგვავიწყდება, რომ დღევანდელი ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის, ნაციონალური მოძრაობის გაკეთებულია ეს პროექტი და მასში არ არის მითითებული, პრემიერი უნდა გადადგეს თუ არა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც კანონის ამ ვარიანტზე მუშაობისას სააკაშვილი უკვე პრემიერობისკენ მიდიოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ეს არ არის მითითებული.

***– ანუ მათაც ეს განზრახვა ჰქონდათ?***

– განზრახვაც არ ითქმის. თვითონ საპარლამენტო რესპუბლიკის ლოგიკაშია ჩადებული, რომ პარტიის ლიდერი ხდება პრემიერი. ახალი არჩევნებისთვის იგივე ლიდერი გჭირდება. რა გამოსავალი უნდა ნახოს პარტიამ?!

***– გამოსავალი არ არსებობს?***

– ახალი არჩევნებისთვის მთელი კაბინეტის შეცვლა ყველა სახელმწიფოში დესტაბილიზაციის წყარო იქნება. ასე რომ, ამ ნაბიჯის ლოგიკა თვითონ წყობაში, საპარლამენტო რესპუბლიკის ლოგიკაში დევს. პარტიული ლიდერი 9 ნაწილად ვერ გაიჭრება. პარტიული ლიდერი უნდა შეინარჩუნო, როგორც საარჩევნოდ მომგებიანი ფიგურა.

ნაციონალები რომ ყოფილიყვნენ ხელისუფლებაში, რომ ყოფილიყო იგივე ალასანიას პარტია, რომელმაც გამოთქვა ეს შენიშვნა, მათაც ხომ იგივე ამოცანა დაუდგებოდათ?! ალასანია რომ ყოფილიყო პრემიერი, არჩევნების დროს ალასანიას ფიგურა ხომ დასჭირდებოდა პარტიას, რამდენადაც ძლიერი ფიგურაა. სავარაუდოდ, ისინიც იმავე ლოგიკით გადაწყვეტდნენ, რითაც დღეს იმოქმედა „ქართულმა ოცნებამ“.

***– ანუ ეს თქვენთვის მისაღებია?***



## „სახელმწიფო კონტროლი პარტიების დაფინანსების წესზე აუცილებელია“

– მე ვერ ვიტყვი, რომ ეს იდეალური ლოგიკაა, მაგრამ ეს ხარვეზები დევს საპარლამენტო რესპუბლიკაში და სწორედ ამიტომ საპარლამენტო რესპუბლიკა ბევრი ხარვეზისა და სირთულის შემცველია.

***– იმის თქმა გსურთ, რომ კატასტროფა არ მომხდარა და კანონი არ დარღვეულა?***

– კანონში არც იყო რაიმე ნათქვამი. იქ სიტყვა პრემიერ-მინისტრი ნახსენები არ არის. რატომ? იმიტომ, რომ კანონმდებელმა იგრძნო, რომ ეს სირთულეა. თუკი პრემიერს ადგილს მოუნაცვლებ, იქ ან სახელმწიფო უნდა დაინგრეს, ან პარტია! ამიტომ მოიძებნა ასეთი გზა იმისთვის, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური.

***– თუკი „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ კვირიკაშვილი კვლავაც პრემიერის პოსტს შეინარჩუნებს?***

– სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ განზრახვებში ისეთი გეგმებია, რომ კვირიკაშვილი იყოს ამ თანამდებობაზე გამწესებული პარტიის მიერ.

***– არც მესამე სექტორი წასულა ამ ცვლილების წინააღმდეგ ანუ ეს ყველასთვის მისაღებია?***

– მოწინააღმდეგეები აქაც არიან, მაგრამ არგუმენტაციას ყველა მხარე მოძებნის, როცა კანონი ხარვეზიანია. ალბათ, დროთა განმავლობაში ეს დამუშავდება, უცხოური გამოცდილებაც იქნება გათვალისწინებული და, ალბათ, ის გზაც მოიძებნება, რომელიც მეტ-ნაკლებად შეამცირებს ამ სირთულეებს.

***– მინისტრებს რაც შეეხება, ამბობენ, რომ ისინიც შეინარჩუნებენ პოსტებს და თან სიაში მოხვდებიან. ოპონენტები კი საუბრობენ იმის შესახებ, რომ მათი მხრიდან ადმინისტრაციული რესურსი იქნება გამოყენებული. ამაზე რას იტყვით?***

– თუკი მინისტრები უნდა გადადგნენ, რომ არ გამოიყენონ ადმინისტრაციული რესურსი, მაშინ ანალოგიური ითქმის პრემიერ-მინისტრზეც, ეს ბუნებრივია. კანონში არის ხარვეზები. ის დასახვეწი და ბუნდოვანია. ეს საკითხები ღიად არის დატოვებული.

***– სულ იყო საუბარი იმის თაობაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი აქტიურად ჩაერთვებოდა წინასაარჩევნო კამპანიაში, თუმცა სიის პირველი ნომერი კვირიკაშვილი იქნება. რამდენად სწორი სტრატეგიაა?***

– ალბათ, სოციოლოგიური გამოკვლევებით ხელმძღვანელობენ „ქართულ ოცნებაში“.

***– ცნობილია თქვენთვის ეს სოციოლოგიური მონაცემები?***

– სამწუხაროდ, სოციოლოგიური მონაცემები ჩვენთვის დახურულია. ეს არ ქვეყნდება.

***– დღეს კვირიკაშვილს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ივანიშვილს? საზოგადოების თვალში ის უფრო პოპულარულია?***

– შეიძლება კვირიკაშვილი სარგებლობს იმ პოპულარობით, რომლისთვისაც დახმარება ივანიშვილის მხრიდან საჭირო აღარ არის. რომელი რომლით სარგებლობს, ეგ უკვე სხვა თემაა და ძნელია ლაპარაკი. ივანიშვილს რამდენიმეჯერ აქვს ნათქვამი, თუ აუცილებელი არ გახდა, პოლიტიკაში ღიად არ შემოვალო. ის ღიად არ შემოვიდა, მაგრამ...

***– მაგრამ რა?***

– ფარულად შემოვიდა. ბევრი ცვლილება, რომლებიც ბოლო ხანებში მოხდა, მათ შორის საარჩევნო ბლოკის საკითხის მოხსნისა, რომ ისინი ბლოკად აღარ გავლენ, ივანიშვილის ნებართვის გარეშე არ მოხდებოდა.

***– რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო? დაიშალა კოალიცია, იშლება უმრავლესობა.***

– დაიშალა ბლოკი. საპარლამენტო კოალიცია დარჩა ანუ ეს პარტიები, რომლებიც ერთად იყვნენ, ახლაც მეტ-ნაკლები თანმიმდევრულობით ამბობენ, რომ უმრავლესობის ინტერესებს დაიცავენ. თუკი უმრავლესობის ინტერესებს დაიცავენ, კოალიცია მეტი რა არის? დაიშალა მომავალი საარჩევნო ბლოკი.

***– რა დევს ამ ინიციატივაში?***

– ის, რომ „ქართული ოცნებისთვის“ რთული გახდა განსხვავებული პოზიციების თავმოყრა და გამართლება. გადაწყვიტეს, რომ ერთი პოზიციის ხალხი დარჩეს ერთად, დანარჩენებმა თავიანთ რეიტინგზე იზრუნონ. ოჯახები იშლება, შვილები მიდიან ცალკე და რა გასაკვირია, ამხელა კოალიცია დაიშალოს.

***– დიდი დრო აღარ დარჩა არჩევნებამდე, უკვე თარიღიც გამოაცხადეს. რა შანსები აქვთ ამ პარტიებს, რომ დამოუკიდებლად შეძლონ მხარდაჭერის მოპოვება? თუ განწირულები არიან?***

– არა მგონია, რომ განწირულები იყვნენ. ჩვენც გვქონია ისეთი მაგალითები, როდესაც პოლიტიკოსს ან პოლიტიკურ პარტიას ერთ დღეში აუწევია რეიტინგი, იმიტომ, რომ რაღაც მოულოდნელი ნაბიჯი გადაუდგამს.

***– რატომ აგვიანებენ პარტიები წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებას?***

– პარტიების დიდი ნაწილი არხეინად იყო. თვლიდნენ, რომ სხედან იმ მატარებელში, რომელიც მათ შეიყვანს აღთქმულ ქვეყანაში. დღეს უნდა გამოფხიზლდნენ და უფრო გააქტიურდნენ.

***– პარტიების დაფინანსების შესახებ რას იტყვით? ამბობენ, რომ ამ დროისთვის გირჩებს აქვთ ყველაზე დიდი დაფინანსება და შემდეგ – პატრიოტთა ალიანსს. საიდან?***

– სახელმწიფო კონტროლი ამ თემაზეც აუცილებელია. ვის როგორი დაფინანსება აქვს და საიდან?! ყველა ქვეყანაშია ასეთი კონტროლი. ყველა ქვეყანაში თვლიან, რომ დამფინანსებლის წინაშე ვალდებულად იგრძნობს თავს პოლიტიკური პარტია და იმის მიხედვით, ვინ არის დამფინანსებელი, შეიძლება პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ სულ სხვა გავლენების ქვეშ აღმოჩნდეს ეს პარტია, ვიდრე ეს სახელმწიფოს აწყობს.

თუ კრიმინალების მიერაა დაფინანსებული, მაშინ კრიმინალიზაციის ხარისხი გაიზრდება. უცხო ქვეყნების დაფინანსებული თუა, უცხო ქვეყნების გავლენა გაიზრდება და ასე შემდეგ. ამ შემოწმებების უკან არ უნდა ვეძებოთ პოლიტიკური ბრძოლის მოტივი. აქ სახელმწიფოებრივი ინტერესი დგას.

# მიხეილ მაჭავარიანი: „პარტიები, რომლებმაც უმრავლესობა დატოვეს, კონკურენტ პარტიას რატომ გააძლიერებენ?!“

„პარტიები, რომლებმაც უმრავლესობა დატოვეს, კონკურენტ პარტიას რატომ გააძლიერებენ?!“ – აღნიშნულ განცხადებას „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი იმ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით აკეთებს, რომლის თანახმად, მოქმედ პრემიერს საარჩევნო სიაში ყოფნა შეეძლება ისე, რომ თანამდებობიდან გადადგომა არ მოუწევს.

მაჭავარიანი პარლამენტის მიერ აღნიშნული ცვლილებების მიღებას სკეპტიკურად უყურებს. მისივე შეფასებით, საკანონმდებლო ინიციატივა იმის ნიშანია, რომ „ქართულ ოცნებას“ ძალიან უჭირს და ყველანაირ გზას ეძებენ, რათა რაღაცნაირად პოზიციები გაიმყაროს.

– საარჩევნო კოდექსში ცვლილების განხორციელებას 76 ხმა სჭირდება. ამ გადაწყვეტილების გატანაც კი, რაც გამოწვეულია იმით, რომ „ქართული ოცნება“ განწირულია დამარცხებისთვის, „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება. როგორ წარმოგიდგენიათ, პარტიები, რომლებმაც უმრავლესობა დატოვეს, კონკურენტ პარტიას რატომ გაძლიერებენ?! ისინი ხომ დაახლოებით ერთ ამომრჩეველზე არიან ორიენტირებული?! ამიტომ საკითხის გატანას ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ, – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.



ინტერპრესნიუსი

# ლონდონის სასამართლომ დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირებაზე უარი თქვა

ლონდონის სასამართლომ თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირებაზე უარი თქვა. ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ დავით კეზერაშვილის ადვოკატმა შოთა მინდელმა დაუდასტურა.

ადვოკატის ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველი დავით კეზერაშვილის მიმართ საქართველოში პოლიტიკური დევნის მოტივები გახდა.



– მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს პროკურატურას კეზერაშვილის ექსტრადირებაზე უარი ეთქვა ბრიტანეთიდან. საექსტრადიციო პროცედურები ბრიტანეთში დასრულებულია. მოსამართლის მხრიდან დასაბუთება იყო, რა თქმა უნდა, პოლიტიკური დევნის საფუძვლები, რომ ეს არის, მის მიმართ ცალსახად პოლიტიკური დევნა საქართველოში, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ შოთა მინდელმა.

მისივე თქმით, დიდ ბრიტანეთში, კერძოდ, ლონდონში გამართულ სასამართლო პროცესს თავად თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილიც ესწრებოდა.

ინტერპრესნიუსი

# დეპუტატებმა რუსლან პოღოსიანმა და ალი მამედოვმა ყარაბაღის საკითხზე ერთობლივი განცხადება გაავრცელეს

საპარლამენტო უმრავლესობის ორმა დეპუტატმა რუსლან პოღოსიანმა და ალი მამედოვმა მთიან ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სპეციალური ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.



დეპუტატებმა ყარაბაღში შექმნილი საომარი ვითარების გამო, რომელიც ბოლო დღეებში განსაკუთრებით გამწვავდა, შეშფოთება გამოთქვეს და მომხდარს ფრაქცია „ქართული ოცნების“ სახელით გამოეხმაურნენ.

– მოვუწოდებთ საქართველოს მოსახლეობას და განსაკუთრებით ჩვენს სომეხ და აზერბაიჯანელ მოქალაქეებს, შეინარჩუნონ სიმშვიდე და თავი შეიკავონ ისეთი ხასიათის ქმედებებისგან და მოწოდებებისგან, რომელმაც შეიძლება დააზარალოს საქართველოს ტერიტორიაზე ამ ორი ეთნიკური ჯგუფის მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალკულტურული სიმდიდრითა და კეთილმეზობლური ურთიერთობებით და საქართველოს ყველა მოქალაქის ვალია, ხელი შეუწყოს ამ ტრადიციების შენარჩუნებას, – ნათქვამია განცხადებაში.

დეპუტატებმა მწუხარება გამოთქვეს ყარაბაღში საომარი მოქმედებების დროს სამხედროებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვის გამო და იმედოვნებენ, რომ უახლოეს დღეებში მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რა გარიგება შედგა კვირიკაშვილსა და მარგველაშვილს შორის

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დაუტკბნენ ერთმანეთს პრეზიდენტი და „ქართული ოცნება“, რატომ გააღიზიანა ოპოზიცია არჩევნების თარიღის დანიშვნამ, მოსალოდნელია თუ არა მეორე ვარდების რევოლუცია? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.



გიგლა ბარამიძე: „სააკაშვილი ვარდების რევოლუციას ველარ გაიმეორებს“



**გიგლა ბარამიძე:**

– პრეზიდენტისა და პრემიერის შეხვედრით პოლიტიკური ხელცქვიტობისა და პოლიტიკური მუცლითმეზღაპრეობის კვირეული დაგვირგვინდა. კარგია, რომ ასეთი შეხვედრა შედგა და რაღაც დასკვნებს გამოიტანენ. დარწმუნებული ვარ, ეს შეხვედრა საკადრო გადაადგილებებს ეხებოდა.

***– თავად თქვეს, რომ ამ თემაზე არ უსაუბრიათ.***

– თუ არ უსაუბრიათ, ამასაც მალე ვნახავთ. საკადრო გადაადგილებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო არჩევნების თარიღის გამოცხადება. ყველამ ვიცოდით, რომ არჩევნები ოქტომბერში უნდა გამართულიყო. ასე რომ, ზოგიერთები გულზე მჯიღს ნუ იბაგუნებენ, რომ რაღაცა დაირღვა.

***– თქვენ დანამდვილებით ამბობთ, რომ შეხვედრაზე სამთავრობო ცვლილებებზე იყო საუბარი. ამასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციას ფლობთ თუ გონივრული ეჭვი გაქვთ?***

– აქამდე რა მოსაზრებაც გამოვთქვით, ყველა გამართლდა. სამთავრობო ცვლილებები რომ გარდაუვალია, ამას ყველა ხვდება. შეხედეთ, რა ხდება კოალიციაში, ზოგი პარტია თან გამოვიდა იქიდან, თან არ უნდა წამოსვლა. ელიავას ბაზრობის დონეზე მიდის ვაჭრობა. ამ ადამიანებს სურთ, რომ რამენაირად არჩევნებამდე შეინარჩუნონ მინისტრის სავარძლები, მაგრამ მათ ადრე მოუწევთ წასვლა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სადღაც 1,5 თვეში მოხდება ცვლილებები. მათ ან პრემიერი გაუშვებს პოსტებიდან, ან თავად ამ მინისტრებს გაუჩნენ წასვლის სურვილს და ისინი საკუთარი ხელით დაწერენ განცხადებებს.

ვერ ვიტყვი, რომ ჩიტმა ამბავი მომიტანა, მაგრამ, ვითარებიდან გამომდინარე, გიორგი კვირიკაშვილმა გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრაზე ამ საკითხზე გაიარა მოთელვა. აქამდე მთავრობა პრეზიდენტს დიდად არ სწყალობდა, ახლა თავზე ჩამოემხოთ კოალიცია და იძულებული შეიქნენ, კონსტრუქციულები გამხდარიყვნენ. სულ ცოტა ხანში უმრავლესობაც დაეშლებათ და დასჭირდათ პრეზიდენტი, რომელიღაცა მხრიდან ზურგი ხომ უნდა გაიმაგრონ.

***– იმის თქმა გინდათ, რომ პრეზიდენტსა და პრემიერს შორის რაღაც გარიგება შედგა?***

– ამას უფრო მოთელვას დავარქმევდი. კვირიკაშვილმა, ალბათ, გაარკვია, რამდენად ექნება მინისტრების შეცვლის საკითხში პრეზიდენტის მხარდაჭერა.

***– მარგველაშვილს რაღაში სჭირდება თავზე კოალიციაჩამომხობილი მთავრობა?***

– რაში სჭირდება და მთელი ხელისუფლება ევროპელობასა და დემოკრატიულობას თამაშობს. ვილაცებისთვის თავის მოსაწონებლად პრეზიდენტი მთავრობის კანცელარიაშიც კი მივიდა. ადრე ასეთი რამეები არ ხდებოდა. ამ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე კვირიკაშვილმა და მარგველაშვილმა სრულიად საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთეს. ეს აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ფორმატს შეეხებოდა.

პოლიტიკური იაღლიშები დღევანდელი ხელისუფლებისთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა. ამათგან აღარაფერი მიკვირს. მხოლოდ იმაზე ვოცნებობ, მშვიდად მივიდეთ არჩევნებამდე.

***– ზემოთ თქვით, „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო უმრავლესობაც დაეშლებაო. ასე თუ მოხდა, როგორ შეძლებენ განახლებული მთავრობის დამტკიცებას?***

– პრემიერს რამდენიმე მინისტრის შეცვლა პარლამენტის მხარდაჭერის გარეშე შეუძლია. იმდენი მინისტრი შეიცვლება, რომ მთავრობისთვის ნდობის ხელახალი გამოცხადება არ დადგება დღის წესრიგში.

ბოლო ერთი კვირაა, სულ რესპუბლიკელების ხსენებაში ვარ და აღარ მინდოდა მათზე საუბარი, მაგრამ დაუკვირდით ამ პარტიის წარმომადგენლების განცხადებებს – ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მინისტრის პოსტების დატოვებას შეგუებული არიან. ყველა კომენტარში ამბობენ, რომ მათი გაშვების საკითხი კვირიკაშვილმა უნდა გადაწყვიტოს. როგორც ჩანს, მათ იციან, რომ პრემიერი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს და რესპუბლიკელ მინისტრებს სახლში გაუშვებენ.

– ამ ყველაფერში რა როლს თამაშობს ბიძინა ივანიშვილი? ის ღიად არ გამოჩენილა, არადა, ამბობდა, თებერვლიდან აქტიურად ჩავერთვები პოლიტიკურ პროცესებშიო.

***– ამ პროცესების ალფა და ომეგა ბიძინა ივანიშვილი გახლავთ. ოფიციალურად არსად ჩნდება, მაგრამ მისი ხელი ყველგან იგრძნობა, კარგი ტაქტიკოსის, გათვლილ ნაბიჯებს დგამს. მისთვის არ იყო მარტივი საქმე, ამ 4 წლის განმავლობაში ეს ძალად აკიდებული პარტიები შეენახა. აღარ სჭირდება ისინი და ნელ-ნელა, მოგუდვით იცილებს. „ქართული ოცნება“ რაღაც პროცენტით მოხვდება პარლამენტში და ბიძინა ივანიშვილი უკვე იქ შექმნის ახალ კოალიციას.***

– ხელისუფლების პირველი პირები ივანიშვილის ღიად გამოჩენაზე განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებენ. თავადაც ვერ გაურკვევიათ, ჩაერთვება თუ არა ის კაცი პროცესებში ღიად. ჩვენ ეს ამბავი დიდად არ გვაინტერესებს, რადგანაც „ოცნების“ ლიდერის ხელწერა ისედაც იგრძნობა. მეტი არაა ჩემი მტერი, ახალმა პრემიერმა რაიმე გლობალური ნაბიჯი მის გარეშე გადადგას. ვინმეს თავის მოტყუება თუ უნდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ დღევანდელი ქართული პოლიტიკა ივანიშვილის ნაფიქრზეა აგებული. ამიტომ ხელისუფლებას ვურჩევ, ნუ ხუნტრუცობენ და ნუ უარყოფენ ამას. დემოკრატიისთვის ეს კარგი არ არის, მაგრამ რეალობა ასეთია, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

***– არჩევნების თარიღის გამოცხადებას ოპოზიციაში უკმაყოფილება მოჰყვა. ამის მიზეზი რა არის, ვერ ასწრებენ მომზადებას თუ ეწყინათ, მათთან რომ არ გაიარა ხელისუფლებამ კონსულტაცია?***

– თუ პრეტენზია გვაქვს ევროპულ დემოკრატიაზე, მაშინ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები სხვა პარტიებთანაც უნდა იყოს შეთანხმებული. ცუდი არ იქნებოდა, რაღაც კონსულტაციები მაინც გამართულიყო.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ზაზა დავითაიას თავს დაესხნენ

## ხელჩართული ჩხუბი საქალაქო სასამართლოში

შორენა მარსაგიშვილი

**თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ, 6 აპრილს, ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ერთმანეთს ძველი მეტოქეები – თავისუფალი თაობისა და თავისუფალი ზონის წევრები დაუპირისპირდნენ.**

**მოსალოდნელი არეულობის შესახებ სამართალდამცავები ჟურნალისტმა და უფლებადამცველმა ზაზა დავითაიამ ერთი დღით ადრე გააფრთხილა. დავითაიას განმარტებით, ხელისუფლებამ მისი გაფრთხილება არად ჩააგდო და თავისუფალი ზონის წევრებმა მასზე თავდასხმა განახორციელეს.**

საქალაქო სასამართლოსთან დაპირისპირება სასამართლო პროცესის დამთავრების შემდეგ დაიწყო, რომელზეც ზაზა დავითაიას ცემის ფაქტი განიხილებოდა.

ხელჩართული ჩხუბი სასამართლოს ეზოში რამდენჯერმე მოხდა. დაპირისპირება მანდატურის სამსახურისა და საპატრულო პოლიციის ჩარევის შემდეგ განიმუხტა.

– როგორც მოსალოდნელი იყო, სააკოვის კომკავშირლებმა – თავისუფალი ზონის წევრებმა, საქალაქო სასამართლოში მოაწყვეს პროვოკაცია, რის შედეგადაც რამაზ გაგნიძე, ზვიად ტომარაძე, ლადო სადღობელაშვილი, გიორგი ბაბუხადია, გიორგი ონიანი, ნაუმი გაფრინდაშვილი და მარიამ მინდორაძე დააკავეს. იმის მიუხედავად, რომ მოსალოდნელი პროვოკაციის შესახებ მე წინასწარ მქონდა ინფორმაცია და ამის შესახებ საჯაროდ კიდეც განვაცხადე, სამწუხაროდ, პოლიციელებმა ვერ უზრუნველყვეს დაპირისპირების აღკვეთა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ზაზა დავითაიამ.



მისი თქმით, ინციდენტისას პოლიციელებმა კანონის დაცვის პრინციპით სულაც არ იმოქმედეს.

– მათი ქმედება არც პროვოკაციის ალაგმვისკენ იყო მიმართული. ინციდენტის მონაწილეთა შორის დაკავების დროს დაიცვეს ერთგვარი „ბალანსი,“ რის შედეგადაც დაკავებულები აღმოჩნდნენ არა პროვოკაციის ავტორები, არამედ ამ პროვოკაციის სამიზნეები, – ამბობს დავითაია.

თავისუფალი ზონის წევრებმა პროვოკაციის მოწყობაში დავითაია და თაობელები დაადანაშაულეს. ჟურნალისტი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს.

თავისუფალი ზონის წევრებსა და ზაზა დავითაიას შორის ადრეც მოხდა ინციდენტი. გასულ წელს ორგანიზაციის წევრები ორჯერ დაესხნენ თავს ჟურნალისტს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

დავითაიაზე თავდასხმის შემდეგ თავისუფალი თაობის წევრები ზონელებს ოფისში მიუცვივდნენ და კვერცხები დაუშინეს, ყოფილი პოლიტპატიმარი ტრისტან წითელაშვილი კი ოფისში შეიჭრა და იქ რაღაცები დაამტვრია. ამის გარდა, მან ზონელთა ერთ-ერთ ლიდერ კობა ხაბაზსაც აგინა. ხაბაზმა ის დუელში გამოიწვია. დუელი არ შედგა. მათ ტელეეთერში გამოლანძღეს ერთმანეთი.

ამ ხმაურიანი გარჩევებიდან თითქმის ერთი წლის თავზე ზაზა დავითაიაზე კიდევ ერთხელ მოხდა თავდასხმა. მომხდართან დაკავშირებით გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ საგანგებო განცხადება გაავრცელა. მათი განცხადებით, სააკაშვილ-ბოკერიას ხროვა „ასავალ-დასავალის“ წინააღმდეგ პროვოკაციებს განაგრძობს.

– ნაციონალური მოძრაობის ზონდერდაჯგუფების თავისუფალი ზონის წევრების მხრიდან „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ ზაზა დავითაიას მიმართ ჯგუფური თავდასხმისა და ფიზიკური ანგარიშსწორების საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში მორიგი პროცესი გაიმართა. როგორც წინა სასამართლო სხდომის შემთხვევაში, 6 აპრილის პროცესის დასრულების შემდეგაც თავისუფალი ზონის ზონდერებისაგან ადგილი ჰქონდა მორიგ პროვოკაციას, რომელიც ფიზიკურ შეხლა-შემოხლასა და ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა, – ნათქვამია „ასავალ-დასავალის“ განცხადებაში.

განცხადებაში ზაზა დავითაიას გაფრთხილებაზეც არის საუბარი. „ასავალ-დასავალი“ გაკვირვებას გამოთქვამს, რომ სამართალდამცავებმა სათანადო ზომები არ მიიღეს.

– არც პოლიცია და არც სასამართლოს მანდატურის სამსახური შესაბამის სიმაღლეზე არ აღმოჩნდნენ, რათა ეგზალტირებული ზონელებისთვის პროვოკაციის მოწყობის საშუალება არ მიეცათ. მეტიც, დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ სასამართლოს მანდატურის სამსახურისა და პოლიციის ცალკეული წარმომადგენლები მიკერძოებულად მოქმედებდნენ და თავისუფალი ზონის ზონდერების მიმართ კანონთან შეუსაბამო ლმობიერებას იჩენდნენ.

სამაგიეროდ, პოლიციამ უსაფუძვლოდ დააკავა ლადო სადღობელაშვილი და თავისუფალი თაობის რამდენიმე წევრი, ასევე ყოფილი პოლიტპატიმარი რამაზ გაგნიძე და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI-ის ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე, რომლებიც პროვოკატორი ნაცზონდერებისათვის საკადრისი პასუხის გაცემას კანონის ფარგლებში ცდილობდნენ, – ნათქვამია „ასავალ-დასავალის“ განცხადებაში.

.........

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის საქალაქო სასამართლოსთან მომხდარი დაპირისპირების შედეგად სულ 8 პირი დააკავა.

როგორც შსს-ში განაცხადეს, დაკავებულებს სამართალდამცველები ადმინისტრაციული კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების დარღვევას ედავებიან, რაც წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

თავის მხრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურმა მომხდარი ჩხუბის მონაწილე კიდევ 5 პირი აიყვანა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# იგოეთთან ტრაილერი მიკროავტობუსს დაეჯახა




თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთის მონაკვეთთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ერთმანეთს ტრაილერი და „სპრინტერის“ ტიპის სამგზავრო მიკროავტობუსი შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად მსუბუქად დაშავდა მიკროავტობუსის 2 მგზავრი, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს, ტრაილერი კი გადაყირავდა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ინტერპრესნიუსი

# შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ მაჟორიტარებს ვერ გაიყვანს“

## „ოცნებისა“ და რესპუბლიკელების ჭიდაობით არცერთ მათგანს არაფერი შეემატება“

მარიამ მჭედლიშვილი

ოთხი მინისტრის მოსალოდნელი შეცვლა ისევ განსახილველი თემაა. აქედან სამი რესპუბლიკური პარტიის წევრია. პარლამენტის უმცირესობის წევრი, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერი შოთა მალაშხია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პარტია „ქართული ოცნება“ ისევ იაქტიურებს, რომ რესპუბლიკელი მინისტრები თანამდებობიდან წავიდნენ, რესპუბლიკური პარტია კი ყველაფერს გააკეთებს, რათა პოსტები შეინარჩუნონ.



**შოთა მალაშხია:**

– პროგნოზები კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის თაობაზე გამართლდა. ამას დიდი ხნის წინ ვვარაუდობდი. ქვეყანაში მოშლილია ყველა სტრუქტურა, უმძიმეს მდგომარეობაშია ეკონომიკა, ხალხის სოციალური მდგომარეობა უარესდება. ამ სიტუაციაში ყველა, ვინც შედიოდა ამ კოალიციაში, თავის გადარჩენას ცდილობს. რესპუბლიკელების საქციელი მაინც ყველაზე უზნეოდ გამოიყურება – ისინი კოალიციიდან თან გადიან და თან არ გადიან.

***– რესპუბლიკელ მინისტრებს გადააყენებენ?***

– შეიძლება გადააყენონ. რესპუბლიკელები და პარტია „ქართული ოცნება“ კარგა ხანს იჭიდავებენ. რესპუბლიკური პარტია შეეცდება თანამდებობების შენარჩუნებას, „ქართული ოცნება“ ყველაფერს იღონებს მათ მოსაშორებლად. მთავარია, რომ ამით არც რესპუბლიკელებს შეემატებათ რაიმე და არც – „ქართულ ოცნებას“. შედეგები იქნება ოქტომბრის არჩევნებზე.

***– „ოცნება“ უიმედოდ არ არის.***

– სიტუაცია „ქართულ ოცნებასაც“ გაურთულდა. მისი რეიტინგი დაცემულია. გარდა ამისა, კოალიციის ყოფილი პარტიები ერთმანეთს ხმებს წაართმევენ. პარტია „ქართული ოცნების“ რეიტინგი 12-დან 15%-მდეა. მას მაჟორიტარების გაყვანის პრობლემა დაუდგება. მაჟორიტარს მოსაგებად ესაჭიროება 50%+1 ხმა. საჩხერის გარდა, „ქართულ ოცნებას“ მაჟორიტარული არჩევნების მოგება ყველგან გაუჭირდება. აუცილებელი იქნება მეორე ტური, რომელსაც ივანიშვილის პარტია წააგებს.

***– ეს პარტია მმართველი ძალაა. საქართველოში მაჟორიტარული ოლქების მოგების ყველაზე მეტი შანსი ყოველთვის ხელისუფლებას აქვს. რატომ წააგებს „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებს?***

– „ქართული ოცნების“ რეიტინგი ძალიან დაეცა. არჩევნებამდე უფრო უარესი დაემართება. როცა პარტიას ასეთი მცირე მხარდაჭერა აქვს, ის მაჟორიტარულ არჩევნებსაც აგებს. ბევრგან გაიმართება მეორე ტური, რომლის მოგებასაც „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს, იმიტომ, რომ მანამდე პროპორციული სისტემით ცუდ შედეგს აჩვენებს.

***– „ოცნება“ და რესპუბლიკელები ერთნაირად მოიხსენიეთ. რეიტინგის მხრივ რესპუბლიკელების საქმე უფრო ცუდად უნდა იყოს.***

– „ქართული ოცნების“ მდგომარეობა უარესდება. პარტიები ერთმანეთს ხმებსართმევენ. მოსალოდნელია, რომ არჩევნების წინ ყოფილი კოალიციის წევრები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდონ. ამ ომში კომპრომატებსაც ჩართავენ.

***– არსებობს აზრი, რომ ეს პარტიები „ქართული ოცნების“ ნამდვილი ოპონენტები ვერ გახდებიან.***

– ოპონენტები ვერ გახდებიან, თუ ივანიშვილი მათ კიდევ ერთხელ იყიდის არჩევნების შემდეგ. ახლა მათ შორის დიდი კონკურენციაა. ამ პარტიებს ერთი და იგივე ამომრჩეველი ჰყავთ. ყველა თავისას ცდილობს. ივანიშვილს არც არჩევნების შემდეგ ექნება ვინმეს ყიდვის ფუფუნება. „ქართული ოცნება“ ველარ გახდება მიზიდულობის ცენტრი.

***– რესპუბლიკელების გასვლის გამო დასავლეთში ხომ არ შეიქმნება ისეთი აზრი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პროდასავლურ კურსს გადაუხვია?***

– არა. დასავლეთში არც „ქართული ოცნებისა“ სჯერათ და არც – რესპუბლიკური პარტიის. ისინი ელოდებიან ახალ პოლიტიკურ რეალობას შემოდგომიდან. კოალიცია „ქართული ოცნების“ ანტიდასავლურ ნაბიჯებზე ბევრჯერ მისაუბრია. ძალიან სახიფათო იყო მცდელობები, აღედგინათ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი. ამის გამო იყო საშიშროება, საქართველო რუსეთს პლაცდარმად ექცია. ამის საფრთხე ამ დღეებშიც გაჩნდა.

არანაირი პროდასავლელები არ არიან რესპუბლიკელებიც. მაგალითად, პაატა ზაქარეიშვილის უამრავი განცხადება ემსახურება რუსეთის ინტერესებს. ახლა გაპანღურებული რესპუბლიკელები კარში არიან გაჭედილი. ეტყობა, პანჩურს კიდევ მიიღებენ. მათზე დასავლეთში არავინ ამყარებს იმედებს. ფარული კადრების გავრცელებაც, რაც საქართველოში გახშირდა, რუსული სპეცსამსახურების მეთოდია. ასე მოექცნენ ცოტა ხნის წინ ოპოზიციონერ კასიანოვს.

***– ფარულ კადრებს სააკაშვილის ხელისუფლება იღებდა.***

– დიახ, მაშინაც იღებდნენ კადრებს. ამიტომ, ვინც ამ დანაშაულშია გარეული, ყველა უნდა დაისაჯოს. ამ ხელისუფლებამ არავინ დასაჯა. პირიქით, ასეთი კადრები ამ ხელისუფლებამ საკუთარი სისტემის ნაწილად აქცია, მაგალითად, ლადო ბედუკაძე არ დააპატიმრა. არადა, მწამებელი დაუსჯელი არ უნდა იყოს. კაცი, რომელმაც ფარული კადრების საჯარო ჩვენებები მოაწყო, გურიის გუბერნატორად დააწინაურეს. შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენებული მოადგილე ხვედელიძე მხილებულია ჟურნალისტ ფარესიშვილის პირადი კადრებით დაშანტაჟებაში, თანაც, კადრების გავრცელება მიმდინარეობს ამ ხელისუფლების პირობებში. არჩევნების წინ, ალბათ, სხვა ჩანაწერებიც გამოქვეყნდება.

***– „ქართულ ოცნებას“ ცუდი მომავალი უწინასწარმეტყველეთ, მაგრამ პარტია საარჩევნო სიის სერიოზულ განახლებას აპირებს.***

– ძირფესვიანი განახლება გამორიცხულია. სიახლე იქნება ის, რომ რამდენიმე მოქმედ მინისტრს ჩაწერენ სიაში. ბევრი ცნობილი ადამიანი უარს ამბობს „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობაზე.

## იან კელი: „ყარაბაღთან დაკავშირებით ჩვენ და საქართველოს ხელისუფლებას ერთნაირი პოზიცია გვაქვს“

კავკასიის რეგიონში გართულებულ ვითარებასთან დაკავშირებით, აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იან კელიმ კომენტარი გააკეთა.



კელი იმედოვნებს, რომ დღეს დაგეგმილი მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების შეხვედრა სიტუაციის დასტაბილურებას შეუწყობს ხელს.

– ყარაბაღში შექმნილი ვითარების გამო შეშფოთებული ვარ. ქართველ ოფიციალურ პირებთან ყოველდღიური კონტაქტი მაქვს. საგარეო საქმეთა მინისტრს და თავდაცვის უწყების ხელმძღვანელს დავურეკე. ჩვენ ერთიანი პოზიცია გვაქვს. მნიშვნელოვანია სიტუაციის დეესკალაცია, რომ ეს ყველაფერი დიალოგის ფორმატში გადავიდეს. დღეს ვენაში მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების შეხვედრა გაიმართება და ვიმედოვნებთ, რომ ის ხელს შეუწყობს ვითარება დიპლომატიურ და პოლიტიკურ ჩარჩოებს დაუბრუნდეს, – განაცხადა იან კელიმ.

**ნიუსპრესი**

## ფატუ ბენსუდა რუსეთ–საქართველოს ომზე: „ჩვენი ვალია, მივაღწიოთ მართლმსაჯულებას“

ჰააგის სასამართლოს პროკურორის ფატუ ბენსუდას განცხადებით, 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომის დროს, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით, ის უკვე ესაუბრა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ თბილისისგან სრული მხარდაჭერა მიიღო. ფატუ ბენსუდას სტატია ბრიტანულმა გამოცემა გარდიანმა გამოაქვეყნა.



– იმედი მაქვს, რომ ჩემს კანცელარიასთან კონფლიქტის ყველა მხარე ითანამშრომლებს. ჩვენ ხელისუფლების ყველა ორგანოს წარმომადგენელს გავესაუბრებით, ვისაც ამ კონფლიქტთან რაიმე შეხება აქვს. მოვინახულებთ დანაშაულის ჩადენის სავარაუდო ადგილებსაც. ჩვენ მზად ვართ ამის გასაკეთებლად. მე მტკიცედ მაქვს განზრახული, ყველაფერი გავაკეთო, რაც ჩემზეა დამოკიდებული და იმედი მაქვს, რომ დანარჩენი მხარეებიც ასე მოიქცევიან. უმოწყალო დანაშაულის მსხვერპლთა ტანჯვა სინდისის მძიმე ტვირთად უნდა იქცეს. ეს ჩვენთვის სიმართლის დადგენის სტიმული უნდა გახდეს. ჩვენი ვალია მივაღწიოთ მართლმსაჯულებას, – აცხადებს პროკურორი.

**ნიუსპრესი**

# რა გარიგება შედგა კვირიკაშვილსა და მარგველაშვილს შორის

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– კონსულტაციები რას შეცვლიდა, სხვა დროს დაინიშნებოდა არჩევნები?***

– არჩევნებს მაინც მათთვის სასურველ დროს დანიშნავდნენ, მაგრამ ოპოზიციასთან ამ თემაზე საუბარი თავად კარგი ჟესტი იქნებოდა. ხელისუფლების მიმართ საოცარი უნდობლობაა და ამიტომაც არის, რომ მის ყველა გადაწყვეტილებას თუ განცხადებას ასე უარყოფითად ხვდება როგორც საზოგადოება, ისე ოპოზიცია.

***– არჩევნებამდე 6 თვეა დარჩენილი. საკმარისი იქნება ეს დრო არჩევნებისთვის მოსამზადებლად? არც დემოკრატიულ მოძრაობას და არც სხვა ოპოზიციურ ძალებს საარჩევნო კამპანია ჯერ დაწყებულიც კი არ გაქვთ.***

– სხვა ოპოზიციური ძალებით ნაკლებად ვინტერესდები და არ ვიცი, რა ხდება მათთან. რაც შეგვეხება დემოკრატიულ მოძრაობას, ჩვენ ყველაფერს მოვასწრებთ. საარჩევნო კამპანია მხოლოდ ხალხში გასვლას არ ნიშნავს. ეს უმთავრესია, მაგრამ სხვა ბევრი საქმეა გასაკეთებელი. შიდაპარტიული სამუშაოები უცხო თვალისთვის დაფარული უნდა იყოს და არ არის აუცილებელი, მედიამ მასზე ილაპარაკოს.

ახლა ყველა პარტიის საზრუნავი საარჩევნო კოდექსის შეცვლა უნდა იყოს. მოვუწოდებ ყველას, არჩევნების თარიღის გამო შეშფოთება შეწყვიტონ და ამ მახინჯი სისტემის შეცვლაზე ვიფიქროთ. ნაციონალების მიერ შექმნილი კოდექსი „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან კარგად მოირგო ტანზე და მის გახდას არ აპირებს.

***– საარჩევნო სიის დაკომპლექტების რაიმე ორიგინალური წესი თუ გაქვთ? ნაციონალები აპირებენ, რომ სიის ნახევარი ქალებით იყოს დაკომპლექტებული. „ქართულ ოცნებაში“ მოსახვედრად აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა.***

– ასეთი მიდგომები საბჭოთა გეგმებსა და ხუთწლედებს მაგონებს. განსაკუთრებით გაუგებარია, გენდერული ბალანსის დაცვაზე რომ დაიწყო საუბარი. ამ ხალხს ხომ არ ავიწყდება, რომ საქართველო თამარ მეფისა და კრავაი ჯაყელის სამშობლოა? აქ ქალები არასოდეს ყოფილან შეზღუდული, ამიტომაც გენდერული რაღაცების დაწესება ცოტა სასაცილოდ მიმაჩნია. გენდერულ თანასწორობას სწორედ ეს მოთხოვნა არღვევს. ქალი და მამაკაცი თუ თანასწორი არიან, მაშინ რატომ უნდა იყოს სიაში ყოველი მესამე ქალი? სიაში პროფესიონალიზმის მიხედვით უნდა შეიყვანო ხალხი და არა – სქესის.

ირონიით არ ვამბობ, მაგრამ მოვა დრო და დაწესდება, რომ სიაში ყოველი მეხუთე ლგბტ თემის წარმომადგენელი უნდა იყოს. მერე სად ვეძებოთ ამ თემის წარმომადგენლები? არ შეიძლება ასე გამოყოფა. ასეთი გეგმების დაწესება მეუხერხულება, თუმცა იყოს სიაში ყოველი მესამე ქალი, პრობლემა არ არის.

რაც შეეხება უცხო ენის ცოდნის აუცილებლობას, კი მაგრამ, თქვე დალოცვილებო, აქამდე ასეთი ხალხი არ უნდა გყოლოდათ? რად უნდოდა ამის მიხვედრას 21-ე საუკუნის პირველი ნახევრის დადგომა. დეპუტატი თუ ხარ, ენაც უნდა იცოდე. აქამდე ხალხი იმ ნიშნით შეჰყავდათ, ვინც მეტი პრემიის გამოწერას შეძლებდა. ახლა შექმნილმა გარემოებამ დაანახათ, რომ დეპუტატმა უცხო ენა უნდა იცოდეს.

***– რა გარემოებამ დაარწმუნა იმაში, რომ უცხო ენის ცოდნა აუცილებელია?***

– ნაციონალების ერთმა ბიჭმა გიორგი კანდელაკმა „ქართულ ოცნებას“ ევროპულ სტრუქტურებში 10:0 მოუგო, თავზე ჩამოამხო ყველაფერი. ამათ იფიქრეს, უიმე, ამან ენა იცის და ამით გვაჯობაო. ამიტომ აპირებენ ახლა სიაში უცხო ენის მცოდნეების ჩასმას. ასეთ პრიმიტიულ საკითხებზე რომ ვერ ფიქრობენ, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მოაგვარებენ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას. მეეჭვება, ამათ მოსკოვთან ან ვაშინგტონთან შეძლონ მოლაპარაკება.

***– თქვენ არ გითქვამთ, რა პრინციპით აპირებთ სიაში შესაყვანი ხალხის შერჩევას.***

– ჩვენთვის ადამიანურ თვისებებს, ინტელექტსა და პროფესიონალიზმს აქვს დიდი მნიშვნელობა. ინტელექტი თავისთავად გულისხმობს რომელიმე უცხო ენის ცოდნას. იმის შიშიც არ უნდა გვქონდეს, თუ რომელიმე ჩვენიანი თანამდებობას მიიღებს, საზღვარგარეთ ყოფნისას სასტუმროში კარს რომ მიიკეტავს, რაიმე ისეთს გააკეთებს, რაც ყველასთვის სალაპარაკო გახდება.

***– ზემოთ აღნიშნეთ, მხოლოდ იმაზე ვოცნებობთ, არჩევნებამდე მშვიდობიანად მივიდეთო. ვრცელდება ინფორმაციები, რომ ნაციონალები მაიდანის მოწყობას აპირებენ. არის ამის საშიშროება?***

– საშუალება რომ ჰქონდეს მიშიკო სააკაშვილს, მაიდანს აქამდეც მოაწყობდა. კაცმა რომ ჰკითხოს, საქართველოზე გიჟდება, ამ დროს ძალიან მარტივად დათმო ქვეყნის მოქალაქეობა. მისმა ამ ქმედებამ საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი რიჩარდ მაილსიც კი გააოცა. მაილსი გაოცებული ამბობს, არსად გამიგია, სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტს თავისი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი ეთქვას, სხვაგან რომ გამხდარიყო ჩინოვნიკიო. ეს სამარცხვინო რამაა. მაგრამ ჩვენ, ქართველები, ისე შევეჩვიეთ ამ სამარცხვინო ქმედებებს, რომ აღარაფერი გვიკვირს. ყველა სიბინძურეზე იმუნიტეტი გამოვიმუშავეთ. მიშიკოს უკრაინაში აღარ დაედგომება და ყველანაირად შეეცდება, აქ დაბრუნდეს. საშუალება თუ მიეცემა, ყველა მეთოდს გამოიყენებს..

***– მაიდანი იქნება?***

– მეტი არაა ჩემი მტერი, მაგათ მაიდანი მოაწყონ, აქციის გასამართად ხალხს ვერ კრებენ. იმდენს კი მოახერხებენ, რომ სიტუაცია დაძაბონ. ჰგონიათ, რომ დაძაბულობით თავისიანებს გააძვრენენ და მერე თავადაც დაბრუნდებიან. მათგან მაიდანი არ გვემუქრება, მაგრამ არის მეორე საშიშროება: ეკონომიკური ვითარება თუ არ გამოსწორდა, ეთნოკონფლიქტების თავიდან აცილებაზე თუ არ ვიზრუნეთ, ერთი ნაპერწკალი და შეიძლება დიდი ხანძარი გაჩნდეს. მე არ ვამბობ, რომ ეს არჩევნებამდე მოხდება, მაგრამ ეს ნაპერწკალი ოდესლაც იფეთქებს. ხალხის გალატაკება თუ არ შეწყდა, უმართავი პროცესები დაიწყება და ხალხი აღარ დაგიდევს, ვინ ჩაუდგება მათ პროტესტს სათავეში.

***– არის ასეთი მოსაზრებაც, რომ თუ არჩევნები მათთვის სასურველი შედეგით არ დასრულდება, ნაციონალები მეორე ვარდების რევოლუციას მოაწყობენ. ამაზე რას იტყვით?***

– ხელისუფლების რეიტინგი მკვეთრად დაეცა, მაგრამ კრიტიკულ ზღვრამდე ჯერ არ დასულა. ასე რომ, სააკაშვილი ვარდების რევოლუციას ველარ გაიმეორებს. 2003 წელს სულ სხვა ვითარება იყო. ხალხი უკმაყოფილოა, მაგრამ, იმ დონემდე არ მისულან, რომ ექსპრეზიდენტის გარშემო გაერთიანდნენ.

# ბაჩუკი ქარდავა: „არჩევნების 8 ოქტომბერს დანიშვნა მოულოდნელი იყო“

ნათია ხურცილავა

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საპარლამენტო არჩევნების თარიღის 15 აპრილამდე განსაზღვრით ხელისუფლებამ მიგვანიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის რეალური ცვლილებისთვის მზად არ არის.

***— ბატონო ბაჩუკი, პრეზიდენტმა 8 ოქტომბერს დანიშნა საპარლამენტო არჩევნები. პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ არჩევნები ადრე დაინიშნა, ნაწილი კი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ პრეზიდენტს პარტიებთან უნდა გაემართა კონსულტაციები. თქვენი პოზიცია როგორია?***

— საპარლამენტო არჩევნების 8 ოქტომბერს დანიშვნით პრეზიდენტს არც კონსტიტუცია და არც კანონი არ დაურღვევია, თუმცა, საარჩევნო ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ასევე ქართული რეალობის გათვალისწინებით, ზოგადად, ზაფხული, აგვისტო არ არის პოლიტიკურად ცხელი სეზონი. არჩევნების ადრე დანიშვნა მომგებიან პოზიციაში აყენებს ხელისუფლებას და არასახარბიელო პირობებს უქმნის ოპოზიციას, მაგრამ ეს არ არის კატასტროფა.

აჯობებდა, ორი კვირით გვიან დანიშნულიყო არჩევნები. მიუხედავად ამისა, მე ვთვლი, რომ თარიღი სულაც არ არის პრობლემა, პრობლემა საარჩევნო რეფორმებია.

***— ამ პერიოდში ვერ მოესწრება მისი განხორციელება?***

— იმ 5-პუნქტიან დოკუმენტზე, რომელიც ინტერპარტიულმა ჯგუფმა ხელისუფლებას გადასცა, პასუხი არ ისმის. ოპოზიცია ხელისუფლებასთან საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით მოლაპარაკების რეჟიმში იყო. ამ არჩევნების დანიშვნით, ისე, რომ საარჩევნო კანონმდებლობის ირგვლივ პასუხი არ ისმის, ხელისუფლებამ მიგვანიშნა, რომ ძირეულ ცვლილებებზე არ არის წამსვლელი. ალბათ, 15 აპრილამდე მაინც სასურველი იყო, რომ თარიღი არ გამოცხადებულიყო, რადგან ამ დროში მოხერხდებოდა კონსულტაციების საბოლოო დასრულება აღნიშნულ საკითხზე, ასევე შეიძლებოდა ხელისუფლებასთან ერთად მთელი პოლიტიკური სპექტრი შევთანხმებულიყავით თარიღზეც. ეს ბევრად მისაღები ვარიანტი იქნებოდა.

***— საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის ირგვლივ ხელისუფლებამ პროცესი დაასრულა?***

— ზუსტად ისეთი განცდა მაქვს, როგორი კითხვაც ახლა თქვენ დამისვით. თუმცა 15 აპრილამდე მაინც ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, რადგან სწორედ ამ დროს ჩვენ გვეცოდინება ოფიციალური პასუხი ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ მოლოდინი იმისა, რომ ხელისუფლება სერიოზული რეფორმის გატარებას აპირებს ამ მიმართულებით, უკვე აღარ მაქვს.

***— თუ ცვლილებები არ იქნა მიღწეული, მოქმედი კანონმდებლობით გახვალთ არჩევნებზე?***

— ყველა სავარაუდო ვარიანტზე, თუ რას გვეტყვის ხელისუფლება, ჩვენ ჩვენი შემხვედრი ნაბიჯების მომზადება დაწყებული გვაქვს. ინტერპარტიული ჯგუფი ყოველდღიურ რეჟიმში ვიკრიბებით და გვაქვს ჩვენი დღის წესრიგი, რომლის მიხედვითაც აუცილებლად ვიმოქმედებთ.

***— რა არის თქვენი დღის წესრიგი?***

— 13 პოლიტიკური ორგანიზაციაა შეკრებილი, მიმდინარეობს პოზიციების შეჯერება, ვყალიბდებით და ამიტომ წინასწარ ვერ გეტყვით, როგორ განვითარდება მოვლენები.

***— ყველა შემთხვევაში ოპოზიცია არჩევნებზე გადის?***

— დიახ, ბუნებრივია.



***— ექსპერტების განცხადებით, არასაპარლამენტო ოპოზიცია თუ იდეოლოგიის, პოლიტიკური პლატფორმის ირგვლივ მოახერხებს საარჩევნო ბლოკის შექმნას, მაშინ მისი შანსები იზრდება. ამ საკითხზე მიმდინარეობს კონსულტაციები არასაპარლამენტო ოპოზიციაში?***

— არა მგონია, ამ შემთხვევაში ჩვენ სასარგებლოდ იყოს იდეოლოგია და საერთო მახასიათებლები, თუმცა არის რამდენიმე საკითხი, რომელთა ირგვლივაც ჩვენ ვსაუბრობთ და ეს საკითხები გვაერთიანებს. ამას ნამდვილად არ დაგიმალავთ. ჩვენ გვექნება საერთო გამოსვლა და პოზიციის დაფიქსირება.

***— თუ საერთო იდეოლოგიას ვერ ხედავთ ამ პარტიებთან, მაშინ რა საკითხის ირგვლივ შეიძლება გაერთიანდეთ?***

— მაგალითად, შეიძლება გავერთიანდეთ ისევ საარჩევნო სისტემის ცვლილების მოთხოვნის ირგვლივ. თუ ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხზე იქნება ცივი უარი, მაშინ ჩვენ საერთო პოლიტიკური აქტივობა გვექნება. ამ შემთხვევაში ოპოზიციურ პარტიებს შორის იქნება კოორდინაცია. ერთგვარი შეთანხმება იქნება მაჟორიტარებთან დაკავშირებით. ჩვენ ერთმანეთს არ დავუპირისპირებთ კონკურენტ კანდიდატს, ჩვენი კანდიდატი მხოლოდ ხელისუფლების კანდიდატის კონკურენტი იქნება. ვნახოთ, რაზე შევჯერდებით და როგორი იქნება ჩვენი სტრატეგია.

***— უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ბევრ მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების მეორე ტური დაინიშნება. ეთანხმებით?***

— თუ არ იქნება ტოტალური გაყალბება, მაშინ სერიოზული ბრძოლა იქნება და მეორე ტური ბევრ მაჟორიტარულ რაიონში დაინიშნება. დღეს არავის აქვს იმის წინაპირობა, რომ 50-პროცენტიანი ბარიერი მარტივად გადალახოს.

# კახა ოქრიაშვილი: „საყოველთაო ჯანდაცვის დაბალი ტარიფები კლინიკების განვითარებას აფერხებს“

პეესპე ჯგუფი, როგორც სააფთიაქო ქსელი, სომხეთის ბაზარზე გადის. შესაბამისი შეთავაზება მან სომხური მხარისგან მიიღო. აპირებს თუ არა კომპანია სხვა ქვეყნებში გასვლას და რას გეგმავს ე.წ. დაპაუზებულ პროექტებთან დაკავშირებით?

„კომერსანტს“ პეესპე ჯგუფის ერთ-ერთი დამფუძნებელი კახა ოქრიაშვილი ესაუბრა.

***— რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება, რატომ მაინცდამაინც სომხეთი?***

— ჩვენ სომხეთის ბაზარზე უკვე ვართ, ჩვენი წარმოებული მედიკამენტები 4-5 წელია, იყიდება მეზობელ ქვეყანაში. წარმატებულად ვგრძნობთ იქ თავს. ჯამურად დაახლოებით მილიონი-მილიონ 200 ათასი დოლარის პროდუქცია იყიდება მეზობელ ქვეყანაში. ეს არის მთელი სომხეთის ბაზრის დაახლოებით 1-1,5%, რაც არ არის ცოტა. გვაქვს იქ წინადადებები, რომ ერთ-ერთი ქსელის თანამფლობელები გავხდეთ.

სომხეთი ძალიან ახლოს არის, რა ქუთაისში ჩასულხარ და რა იქ. ერთი ის არის ცუდი, რომ თვითმფრინავები არ დაფრინავენ და ავიარეისები არ არსებობს, თორემ დანარჩენი პრობლემას არ წარმოადგენს. იქ უკვე ვარსებობთ, როგორც ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელი კომპანია, ჩვენი წარმომადგენლობა გვაქვს და გაფართოებას ვგეგმავთ.



## პეესპე სომხეთში შედის

***— განვმარტოთ: სომხეთში პეესპე, როგორც ბრენდი, არ შედის? უბრალოდ ყიდულობთ ერთ-ერთ ქსელს და მათი სახელით გააგრძელებთ ოპერირებას?***

— იქ ვართ წარმოდგენილი, როგორც მწარმოებელი ანუ ჯიემპის ბრენდი. თუ გადაწყდა და მოვილაპარაკეთ ამ კომპანიასთან და ვიყიდეთ საკონტროლო პაკეტი, სავარაუდოდ, პეესპეს ბრენდად გააგრძელებს მუშაობას იქაური ქსელი.

***— შეგიძლიათ გვითხრათ, რომელ სააფთიაქო ქსელთან მიდის მოლაპარაკება?***

— არა, ეს ჯერჯერობით კონფიდენციალურია.

***— ეს პეესპესთვის, როგორც სააფთიაქო ქსელისთვის, სხვა ქვეყანაში გასვლის პირველი შემთხვევაა?***

— დიახ, ეს პირველი შემთხვევაა. როგორც მწარმოებლები, ვოპერირებთ ბევრ ქვეყანაში. ბევრ ქვეყანაში ახლაც მიდის რეგისტრაციის პროცესები, დაახლოებით 5 ქვეყანაში 17-18 მილიონი დოლარის მოცულობის პროდუქცია იყიდება.

ეს წინადადება სომხეთიდან მივიღეთ, მათი მხრიდან იყო დაინტერესება და არა – ჩვენი მხრიდან. ახლა ამას სერიოზულად განვიხილავთ.

***— მომავალში სხვა ქვეყნებშიც თუ აპირებთ გასვლას?***

— ჩვენთვის უფრო პრიორიტეტულია სხვა ქვეყნებში გასვლა მწარმოებლის რანგში და არა – როგორც სააფთიაქო ქსელის რანგში.

***— სომხურ ბაზარზე გასვლის გადაწყვეტილება ხომ არ უკავშირდება საქართველოში ფარმაცევტულ ბაზარზე შექმნილ რაიმე პრობლემას? მაგალითად, „ჯიპისი“ შეიძინა „ევექსმა“ და არის მოსაზრება, რომ ეს გადაწყვეტილება „ჯიპისის“ მფლობელმა მის წინაშე არსებული პრობლემების გამო მიიღო. თქვენც ხომ არ შეგექმნათ რაიმე სახის პრობლემა?***

— არა. გაიყიდა „ჯიპისი“ და მერე რა?! ახალი მფლობელი ჰყავს და კომპანია განვითარდება ნორმალურად. უბრალოდ, საწყენია, რომ 20 წელია არსებობს ეს კომპანია და დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს გაყიდვა. მათ ძალიან მაღალი იჯარები ჰქონდათ და, შესაძლებელია – მენეჯმენტის პრობლემებიც. პირიქით, ჩვენ ზომიერად მომგებიანი კომპანია ვართ და დიდი ოპტიმიზმით ვუყურებთ მომავალს.

***— სხვა პროექტებზეც გკითხავთ, რომლებიც, როგორც თქვენ აცხადებდით, გარკვეული მიზეზების გამო შეჩერებული გქონდათ. საუბარია ორ პროექტზე – ფარმაცევტული პროდუქციის მწარმოებელი ქარხნის გაფართოებასა და ახალი საავადმყოფოს მშენებლობაზე. რა ეტაპზეა ეს პროექტები?***

— ეს პროექტები შეჩერებული არ არის, უბრალოდ, მათი განხორციელების ინტენსივობაა დაბალი. უფრო სწრაფ განვითარებას ვგეგმავდით და შევანელეთ. ეს დაკავშირებულია საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმასთან, სადაც საავადმყოფოებსა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის თამაშის ახალი წესები საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული.

***— კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

— ის ფასები, რომლებითაც საავადმყოფოები ემსახურებიან ჯანდაცვის სამინისტროს, უკვე 2 წელია, არ შეცვლილა. პირიქით, განიცდის ცვლილებას შემცირებისკენ. ეს ქმნის გარკვეულ პრობლემებს საავადმყოფოების განვითარებასთან დაკავშირებით.

***— თუმცა საავადმყოფოების სერვისის მოხმარება მზარდია წლიდან წლამდე.***

— შეიძლება მოხმარება იყოს და მოგება არ იყოს, შესაბამისად, განვითარებაც არ იქნება.

***— როდისთვის ფიქრობთ, რომ საავადმყოფოს მშენებლობა დაასრულოთ და რა ოდენობის ინვესტიციას დებთ ამ პროექტში?***

— არ ვიცით, როდის დასრულდება. ეს პირდაპირ ჯანდაცვის სისტემაზეა დამოკიდებული. საავადმყოფოში 37 მილიონი ევროა ჩადებული.

***— ქარხნის გაფართოების მიმართულებით რატომ არის პრობლემები?***

— აქ პრობლემა იყო შემდეგი: ჩვენთანაც და გარშემოც, სადაც ვოპერირებთ, ყველგან სავალუტო კრიზისი იყო: სომხეთი, უკრაინა, ბელარუსი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ა.შ. აქედან გამომდინარე, ის გეგმები, რომლებიც გვქონდა, ვერ შესრულდა. თუმცა კლებაც არ გვქონია.

ახლა ისევ წინ წავიდა საქმე. ამ წლიდან, როგორც ჩვენთან შეიმჩნევა სავალუტო სტაბილიზაცია, ასევე შეიმჩნევა სხვა ქვეყნებშიც. აქედან გამომდინარე, საქმე ნელ-ნელა წინ წავა. უკვე განვაახლეთ ეს ინვესტიციები. დაახლოებით 18 მილიონი ევროს ინვესტიცია ჩაიდება ამ მიმართულებით 2017 წლის ჩათვლით. წელს იქნება დაახლოებით 10 მილიონი. აქედან ნაწილი უკვე ჩადებულია.

**სალომე მეცხვარიშვილი,**
**კომერსანტ.გე**

# დავით ასლანიშვილი: „ლარისადმი ნდობაა დასაბრუნებელი“

## „ბლუმბერგის სისტემით ჩვენ არ ვიცით, რა რაოდენობის ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შედეგად ხდება კურსის დადგენა“



ლარი რყევას განაგრძობს. რა გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის კურსის ფორმირების არსებული მექანიზმი ეკონომიკასა და რიგითი მოქალაქის ბიუჯეტზე? ამ თემაზე ეკონომეტრს ინტერვიუ მისცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა დავით ასლანიშვილმა.

***— ეროვნული ვალუტის არც უცაბედი გამყარება და არც გაუფასურება ეკონომიკისთვის მისასალმებელი არ არის. ლარს ბოლო დროს სწორედ ეს ემართება. ეროვნული ბანკი წარსულში ასეთ რყევებს მცურავი კურსით ხსნიდა, ახლა კი კომენტარს საერთოდ არ აკეთებს. რამდენად მართებულია ასეთი ქცევა და მცურავი კურსის პირობებში პროგნოზის გაკეთება?***

— უმჯობესია, ეროვნული ბანკის პოზიცია უფრო მკაფიო ყოფილიყო და იყოს. რაც შეეხება მიმდინარე სიტუაციასა და კურსს, აღარ ჩავალ სიღრმისეულ ანალიზში, თუ რა მდგომარეობაა.

მიმოქცევაში ლარის მასა, რაც განაპირობებს გაცვლით კურსს დოლარსა და ლარს შორის, ამ ეტაპზე არის იმდენივე ოდენობის, რაც იყო 2013 წლის მიწურულს, როდესაც კურსი იყო 1,65-1,7-ის ფარგლებში. მოგეხსენებათ ლარის კურსი ახლა 2.3-2.32-ის ფარგლებში მერყეობს, რაც განპირობებულია ცნობილი კატაკლიზმებით, მათ შორის შიდა ბაზარზე არასწორად ჩატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკით, როგორც ეროვნული ბანკის მხრიდან, ასევე ალბათ სამთავრობო შეცდომის გამო, რამაც გამოიწვია ლარის კურსის ასეთი მკვეთრი დევალვაცია, თითქმის 40%-იანი.

თუ გაგრძელდა ის პოლიტიკა, რომელსაც ახლა ატარებს ეროვნული ბანკის მცირედით განახლებული შემადგენლობა, ლარის კურსის დასტაბილურების ნიშნები ალბათ გაგრძელდება. პირველ რიგში ლარისადმი ნდობაა დასაბრუნებელი. ფინანსურ ენაზე ეს ნიშნავს, რომ ლარმა უნდა დაიბრუნოს თავის დაგროვების ფუნქცია. 2013 წელს მილიარდ ნახევრამდე ლარი იყო დეპოზიტებზე განთავსებული, ანუ მოსახლეობა ენდობოდა ლარს. ეს იყო ინვესტირების საშუალება. ბოლო 2 წლის მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა ეს ნდობა შეარყია. საჭიროა, ლარმა დაიბრუნოს ეს ფუნქცია, რაც გაზრდის ლარზე მოთხოვნას და ლარის კურსის გამყარების პოზიტიური ტრენდი შესაძლოა ვიხილოთ.

***— ზოგიერთი ანალიტიკოსს აზრით ლარის გამყარება ნორმალურია, რადგან მისი გაუფასურების დონე იყო გადაჭარბებული და ახლა უბრალოდ კორექტირდება. რა დონეზე დაკორექტირდება ეროვნული ვალუტის კურსი? როგორ უნდა მოახდინოს ადამიანმა ორიენტაცია მაშინ, როცა ოფიციალური კომენტარი არ კეთდება?***

— ინფორმაცია, თუ რა ხდება საქართველოს ბაზარზე, იცის ძალიან ვიწრო წრემ და არ იცის მოსახლეობამ. ეს ნამდვილად არ ამყარებს ლარისადმი ნდობას. საჭიროა და აუცილებელი ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს მთავრობის მხრიდან მკვეთრი მესიჯები, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სიცხადის შეტანა ამ კუთხით.

ლარის ასეთი უცაბედი ვარდნა გამოიწვია მარტივმა მოვლენამ: 2012-2013 წლების მიჯნაზე მიმოქცევაში იყო 4 მილიარდი ლარი და ლარის კურსის მკვეთრი ვარდნის პერიოდში ლარის მასა მიმოქცევაში გაიზარდა თითქმის 6 მილიარდ ლარამდე.

ამჟამად ბრუნვაში 5 მილიარდ 400 მილიონამდეა, თუმცა ნდობის ფაქტორი ლარის მიმართ შემცირებულია. მე არ ვამბობ, რომ დამატებით უნდა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დავით ასლანიშვილი: „ლარისადმი ნდობაა დასაბრუნებელი“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

შევამციროთ ლარის მასა მიმოქცევაში, მაგრამ ეს 5,5 მილიარდის მასა, რაც გვაქვს მიმოქცევაში და რაც შეადგენს ეკონომიკის მხოლოდ 20%-ს, რადგან დანარჩენი 80% არის დოლარიზებული, უნდა გამყარდეს და სტაბილიზაციის ნიშნები იგრძნოს, რაც შემდეგ ლარისადმი ნდობაში გამოვლინდება.

იმატა ინვესტიციებმა სხვადასხვა ქვეყნიდან, მეზობლებს შორის არასტაბილურმა სიტუაციამ შესაძლოა გარკვეულწილად ხელი შეუწყო, რომ აზერბაიჯანიდან მკვეთრად იმატა შემოდინებამ და ეს დადებითი ფაქტორია ლარისთვის.

***— თქვენ ამბობთ, რომ აუცილებელია ოფიციალური პროგნოზის გაკეთება. მცურავი კურსის პირობებში რამდენად შესაძლებელია ამის გაკეთება?***

— მე არ ვამბობ, რომ უნდა ვთქვათ ოფიციალურად, როგორი კურსი იქნება, უნდა იყოს მკვეთრი ფულად-საკრედიტო თუნდაც მოკლევადიანი გეგმა. თუ რას ვაპირებთ, როგორი იქნება საპროცენტო განაკვეთი, რანაირად აპირებს მთავრობა, განავითაროს ფინანსური ბაზარი, როგორ იზიდავს ინვესტიციებს, რას აპირებს არასაბანკო ინსტიტუტების განვითარების კუთხით და ა.შ.

ის მესიჯები, რომლებიც გვესმის, უფრო საწინააღმდეგო ტენდენციაზე მეტყველებს. ავილოთ ონლაინსესხები. იმის ნაცვლად, რომ გაიზარდოს ამ სფეროში დაბანდება და იყოს ფულადი რესურსი მოზიდული, დაიწიოს საპროცენტო განაკვეთმა, გვესმის კომუნისტური გამონათქვამები, რომ ავკრძალოთ ეს სფერო.

ეს არ არის საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები. რეგულაცია არ შველის ფინანსურ ბაზარს. ფინანსურ ბაზარს მხოლოდ საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა შველის.

***— გავრცელდა ეროვნული ბანკის განცხადება, სადაც ის მომხმარებელს თანხის დაბანდებასთან დაკავშირებით აფრთხილებს. რა კომენტარს გააკეთებდით ეროვნული ბანკის ამ განცხადებაზე და ხომ არ არის მოსალოდნელი გარკვეული რეგულაციები ე.წ. სწრაფ სესხებთან დაკავშირებით?***

— მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თამასუქებს, რომლებიც ეროვნული ბანკის მიერ არიან ლიცენზირებული, გააჩნია წარწერა, რომ ეს არის კვალიფიციური ინსტიტუტი. ამ წარწერაზე აღნიშნულია, რომ ის არის გარკვეული რისკების შემცველი, უფრო მაღალი საპროცენტო შემოსავალი ნიშნავს მაღალ რისკს. მომხმარებელი როდესაც ყიდულობს ამა თუ იმ თამასუქს, წარწერა თამასუქზე არსებობს და ყველამ იცის, ვინაიდან მომხმარებელი ხელს აწერს.

სხვა მხრივ, რაც შეეხება ეროვნული ბანკის განცხადებას, ალბათ, საუბარია უფრო ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მოძიებაზე, თორემ იურიდიული კუთხით ყველა ამ თამასუქს, რომლებსაც ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ინსტიტუტი უშვებს, წარწერა გააჩნია.

სავარაუდოა, რომ საუბარი არის ეროვნული ბანკის ლიცენზიის არმქონე საფინანსო კომპანიებზე, რომლებსაც არ აქვთ მსგავსი ვალდებულება. დასაზუსტებელია, რას გულისხმობს ეროვნული ბანკი ამ ინფორმაციაში. რეგულაციების დაწესება შესაძლებელია, მაგრამ რეგულაციამდე საჭიროა საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა.

***— ეროვნული ბანკი თვლის, რომ ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმაში გადატანით ვალუტის კურსის დადგენის პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდა, თუმცა მიაჩნიათ, რომ ჩვენი ტიპის მცირე და განვითარებადი ეკონომიკისთვის, სადაც ფინანსები მწირია, ისევ სავალუტო ბირჟის მექანიზმის დაბრუნება სჯობს პარალელურ რეჟიმში მაინც. თქვენ რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— ბლუმბერგის სისტემით ჩვენ არ ვიცით, რა რაოდენობის ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შედეგად ხდება კურსის დადგენა, ეს არის ბლუმბერგის სისტემის მთავარი მინუსი. ბანკთაშორის ბირჟაზე, რომელიც წლების წინ არსებობდა, შესაძლებლობა იყო, რომ დაგვენახა ნებისმიერი ბანკი და თვალი გვედევნებინა ვაჭრობისთვის.

სამწუხაროდ, ბლუმბერგის სისტემით რეალობაში მივიღეთ არატრანსპარენტული გარემო. ჩვენ არ ვიცით, რა ბრუნვაა ამ ბლუმბერგზე. შესაძლოა, 100 დოლარის ყიდვა-გაყიდვითაც ლარის კურსმა ცვლილება განიცადოს. ჩვენთვის გაუგებარია, რამდენად სრულდება ბლუმბერგში დადებული განაცხადები, შესაძლოა, ვიღაცამ არ შეასრულოს და არ ვიცით, რამდენადაა კურსი დაცული ასეთი „ფიქტიური“ ვაჭრობისაგან. ეს ინფორმაცია უნდა იყოს ღია და ვხედავდეთ.

**ეკონომეტრი**

# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
## აცხადებს კონკურსს
# აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად

**ჯანდაცვის მიმართულებით**
**მედიცინის სპეციალობით**

**1. თერაპიული პროფილის დისციპლინებში**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია

**2. ქირურგიული პროფილის დისციპლინებში**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია

**3. პედიატრიული პროფილის დისციპლინებში**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია

**4. მეანობა-გინეკოლოგიაში**

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია
ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 2 ვაკანსია

**5. ფსიქიატრიაში**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია

**6. სამედიცინო ფსიქოლოგიაში**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია

**7. საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ჯანდაცვის მენეჯმენტში**

ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია
ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე – 1 ვაკანსია

**კონკურსი ცხადდება 2016 წლის 7 აპრილიდან**

**აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებმა 2016 წლის 10 მაისიდან 14 მაისის ჩათვლით კონკურსანტთა საბუთების მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, შესაბამისი სპეციალობისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (ივსება ადგილზე);
- ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ერთი ფოტოსურათი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საგანმანათლებლო დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
- პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;
- ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ;
- საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სასერთიფიკატო კურსებსა თუ ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელსაც მეტი ექნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა);
- სამეცნიერო სტიპენდიებისა და გრანტების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

**პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საჭიროა:**

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსანტს;
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ყველა სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საჭიროა:**

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- შესაბამის დარგში იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ყველა სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საჭიროა:**

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ხედვას;
- ყველა სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დასადასტურებლად:**

- დარგში მუშაობის პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს, შესაბამის დარგში, წამყვან თანამდებობებზე არანაკლებ 5 წლის მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით;
- უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

**კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:**
1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კონკურსანტთა შერჩევა (კონკურსანტების დაუსწრებლად);
2. პირველ ეტაპზე შერჩეული კონკურსანტების საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება / იმიტირებული ლექციის ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში).

**კონკურსის პირობები:**
საკონკურსო განაცხადი და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადებში;
უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ძირითად კრიტერიუმებთან კონკურსანტების განაცხადების შესაბამისობის დადგენის მიზნით, დოკუმენტაციის გადარჩევა მოხდება საკონკურსო კომისიის მიერ.
**კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 16 მაისს;**
**კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 17 მაისს;**
**შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის 18 მაისს;**
**კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს მისამართზე**
**ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა №73, VII სართული, ოთახი №712**
**ტელ.: 261-12-98; 2 30-86-41; 210-52-03**

# დავით ზაქარაია: „ჩვენ კაბინეტებსა და ძვირადღირებულ მანქანებში არ ჩავიკეტებით“

გულიკო ბალაძე

## საზოგადოებრივი საბჭო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ




**აფხაზეთის დაცემის შემდეგ 20 წელიწადზე მეტი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, ფაქტობრივად, არჩევნის უფლება წართმეული აქვს. არასამთავრობო ორგანიზაცია „რეფორმებისა და მონიტორინგის საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის" ხელმძღვანელი დავით ზაქარაია, რომელიც, უპარტიოთა მოძრაობასთან ერთად, აფხაზეთის უმაღლესი საზოგადოებრივი საბჭოს არჩევის ინიციატორია, აცხადებს, რომ აღნიშნული საბჭოს უმთავრესი ფუნქცია დეოკუპაციის იდეოლოგიური უზრუნველყოფის გაძლიერებაც იქნება.**

– ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ ვიმუშავებთ. როდესაც გვეცოდინება, რომ ვართ დევნილი მოსახლეობის არჩეული, არ ჩავიკეტებით კაბინეტებსა და ძვირადღირებულ მანქანებში. ჩვენ არ ვიქნებით არცერთი პოლიტიკური ორგანიზაციის დანამატი, მაგრამ სერიოზულ მობილიზაციას გავუკეთებთ ელექტორატს მომავალი არჩევნებისთვის, – აცხადებს დავით ზაქარაია.

***– ვის სასარგებლოდ მოახდენთ ამომრჩევლის მობილიზაციას?***

– ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რომელი პოლიტიკური პარტია თუ ბლოკი წამოსწევს თავის წინასაარჩევნო პროგრამაში აფხაზეთის დეოკუპაციის საკითხს. დავიცავთ დევნილების პოლიტიკურ უფლებებს. პრორუსულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გამორიცხულია. ვითანამშრომლებთ ევროატლანტიკური ორიენტაციის ორგანიზაციებთან. ვახტანგ ყოლბაიამ დევნილების ხმებზე ნადირობა გამოაცხადა. ის ყველა ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს.

***– ხმებზე ნადირობაში რას გულისხმობთ?***

– წინასაარჩევნო კამპანია უკვე გახსნა. ყოლბაია თავის სამინისტროებთან ერთად (მინისტრის მოადგილის და თანამშრომლების დონეზე) აბსოლუტურად მობილიზებულია. ის ჩადის დევნილებთან და იყენებს როგორც ადამიანურ, ასევე ფინანსურ რესურსს, შეხვედრებს მართავენ, როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები.

***– დევნილებს ეუბნებიან, არჩევნებში ვის უნდა მისცენ ხმა?***

– დიახ, ეუბნებიან და ძალიან იაფფასიანი, დევნილებისთვის შეურაცხმყოფელი დაპირებებით უნდათ დევნილების ხმების მოპოვება. მათ ეუბნებიან, რომ ბინას ყველას აუშენებენ. დევნილთა სამინისტრო სულ მალე დაიწყებს ბინების მშენებლობას.

***– ბინებს ისედაც აშენებენ.***

– ბინების განაწილების პროცესი სამარცხვინო და დევნილებისთვის შეურაცხმყოფელი იყო.

***– რას გულისხმობთ?***

– დევნილებს ათიათასობით ბინა სჭირდებათ, მაშინ როდესაც სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელ დევნილს აძლევენ ბინას. რამდენიმე ათეული ბინა დარიგდა საჩვენებლად.

***– ყველა დევნილის ბინით დაკმაყოფილება ერთ წელიწადში მოხერხდება?***

– დიახ, მაგრამ არიგებენ რამდენიმე ათეულ ბინას მაშინ, როდესაც ათასობით ბინაა საჭირო, თანაც ბინის განაწილება არ უნდა ხდებოდეს დევნილების მკვეთრად დაპირისპირების ფონზე. ეს საკითხი მოწესრიგებული უნდა იყოს.

***– კრიტერიუმების საფუძველზე უნდა გაიცეს.***

– დიახ. სწორი ორგანიზების შემთხვევაში შესაძლებელია ბინების გადაცემის პროცესის უმტკივნეულოდ ჩატარება. ყოლბაიას კი ეს ყველაფერი წინასაარჩევნო დაპირებისთვის სჭირდება.

***– გინდათ, ყოლბაიას აქტიურობა ჩაუშალოთ?***

– ყოლბაია ვერ მოახდენს დევნილების ხმების მობილიზებას, ვინაიდან მას არაერთხელ გაუცია შეუსრულებელი დაპირებები.

***– შეგიძლიათ თქვათ, აფხაზეთის მთავრობამ რა დაპირება გასცა და არ შეასრულა?***

– როგორც აფხაზეთის მთავრობა, ასევე უმაღლესი საბჭო წლების განმავლობაში იყო უწყება, რომელიც აბსოლუტურად მორგებული გახლდათ საკუთარ თავზე. ისინი ამბობენ, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭო სიმბოლური ორგანოა. მათ არავითარი ძალაუფლება, გავლენა და საშუალება არ აქვთ, რომ დევნილებს დაეხმარონ. ამიტომ ისინი აპრიორი ემიჯნებიან ყველა პრობლემას და უარს ამბობენ, იმუშაონ დევნილების რაიმე პრობლემატიკაზე.

***– რა პრობლემის გადაჭრა შეუძლიათ?***

– მათ შეუძლიათ როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური საკითხების გადაჭრა, შეუძლიათ, აფხაზეთი მუდმივად არ ჩააყენონ წამგებიან მდგომარეობაში, საუბრობენ იმაზე, რომ აფხაზეთში გენოციდი არ მომხდარა.

***– ვინ ამბობს, რომ გენოციდი არ მომხდარა?***

– ამაზე საუბრობს პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც პირდაპირ კურირებს აფხაზეთის ხელისუფლებას. პაატა ზაქარეიშვილი ყოლბაიას პირდაპირ აძლევს დავალებას. როგორც ყოლბაიამ, ასევე გვაზავამ განაცხადეს, რომ არავითარი უფლება არ აქვთ. მათ თქვეს, რომ იმის უფლებაც არ აქვთ, ზაქარეიშვილს კითხვა დაუსვან.

***– შეკითხვის უფლება როგორ არ აქვთ?***

– დევნილი საზოგადოება მიიჩვია ტერმინს „აფხაზეთის უმაღლესი საბჭო“, მაგრამ ასეთი ლეგიტიმური ორგანო დღეს აღარ არსებობს. საზოგადოებრივ საბჭოს კი ექნება შეუდარებლად მაღალი ლეგიტიმურობა.

***– რა რესურსი გაგაჩნიათ ამ პროექტის განსახორციელებლად?***

– დევნილი საზოგადოება სასიცოცხლოდაა დაინტერესებული ამ პროექტის განხორციელებით. ამის აუცილებლობა ესმით როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებებს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციასაც. მათთან გავიარეთ კონსულტაციები. ისინი საუბრობენ იმაზე, რომ აფხაზეთის საზოგადოებრივ საბჭოს ექნება შეუდარებლად მაღალი ლეგიტიმურობის ხარისხი, ვიდრე აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს.

***– ანუ თქვენ მკვეთრად უპირისპირდებით აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და მთავრობას და გინდათ, მოამზადოთ აფხაზეთის ახალი საყოველთაო არჩევნები საზოგადოებრივი საბჭოს არჩევით.***

– როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, ასევე მთავრობა აბსოლუტურად ანტისახელმწიფოებრივ პოზიციაზეა. ყოველდღიურად დგამენ ნაბიჯებს, რომლებიც დევნილებს აფხაზეთს აშორებს

***– როგორ ნაბიჯებს?***

– კოლაბორაციონალისტურ ნაბიჯებს.

***– საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური საკითხების გააქტიურებას როგორ მოახერხებთ?***

– უცხოეთში წარმომადგენლობა გვეყოლება. ყველგან უნდა დავაფიქსიროთ, რომ დღეს აფხაზეთი ოკუპირებულია. დეოკუპაცია არის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც ჩვენ გვაძლევს აფხაზეთში დაბრუნების საშუალებას.

***– როგორ აპირებთ რუსეთზე ზეწოლას?***

– აფხაზეთის ყველა წარმომადგენლობითი სტრუქტურის უმთავრესი მიზანი და ამოცანა დეოკუპაციაზე მუშაობა უნდა იყოს. ჩვენ რუსეთს ვერ განვიხილავთ პარტნიორად. ის არის ოკუპანტი მხარე, თუმცა, სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, შესაძლებელია საერთო შეხების წერტილის მოძებნა.

***– როგორ?***

– ჩვენ გვაქვს ჟენევის ფორმატი. რუსებთან დიალოგი მრავალმხრივ ფორმატში უნდა მიმდინარეობდეს. ეს აჩვენა კარასინ-აბაშიძის ფორმატმა.

***– ჟენევის ფორმატში ხომ მრავალი მხარე მონაწილეობს?***

– ჟენევაში არის მრავალმხრივი მოლაპარაკებები, მაგრამ რეალურად ქართული მხარე უსუსურია. ყოლბაია ვერ იცავს ქართული მხარის ინტერესებს.

***– საიდან იცით, რომ ყოლბაია ქართული მხარის ინტერესებს არ იცავს?***

– ვიცით. მას არცერთი განცხადება არ გაუკეთებია გალში ქართველებისთვის ქართულად სწავლების აკრძალვის თაობაზე. უფრო დიდი ტრაგედია, ვიდრე გალში ღვთისმსახურებისა და ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვაა, აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ არ მომხდარა. გალის რაიონში ქართველები უუფლებონი არიან, გულაგის მდგომარეობაში ცხოვრობენ. ადამიანის ყველანაირი უფლება დარღვეულია. ყოლბაიას ამასთან დაკავშირებით სიტყვა არასოდეს წამოსცდენია, არც შინ და არც გარეთ.

* * *

რეფორმებისა და მონიტორინგის საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის თანამშრომელი ხათუნა გადელია ამბობს, რომ გალის რაიონში სეპარატისტებმა პედაგოგები და დირექტორი სკოლებიდან დაითხოვეს. მიზეზი ქართულად სწავლებაა.

– გალის რაიონში 8 პედაგოგი და ერთი სკოლის დირექტორი გაათავისუფლეს იმის გამო, რომ სკოლებში ქართულად ასწავლიდნენ, – აცხადებს ხათუნა გადელია.

***– ჩუმად ასწავლიდნენ?***

– დიახ. შედიან ჩვეულებრივად იარაღებით და ქართულ ლიტერატურას ეძებენ. თუ პედაგოგს ქართულ ლიტერატურას აღმოუჩენენ, გაათავისუფლებენ. ამის გამო ბავშვები დაშინებული არიან. მშობლებმა გადაწყვიტეს, ბავშვებს აქეთ ასწავლონ.

ქართველ მოსახლეობას გარუსება არ უნდა. ქართველ კაცს არ სურს, მისი ბავშვი გარუსდეს, რუსული განათლება მიიღოს. დღემდე ისინი ახერხებდნენ ჩუმად სწავლას, საიდუმლო გზებით გადაჰქონდათ ლიტერატურა, დღეს კი, უმეტესწილად, ბავშვები სასწავლებლად ზუგდიდში გადმოჰყავთ. ბავშვები გალის რაიონს ტოვებენ. ქართულად სწავლების აკრძალვამ გამოიწვია მოსახლეობის გადმოდინება.

***– მიზანი ქართველებისაგან ტერიტორიის დაცლაა.***

– დიახ, ქართულად სწავლების აკრძალვის მიზანი ისაა, რომ ქართველებმა გალის ტერიტორია დატოვონ.

# თამაზ მეჭიაური: „ივანიშვილისგან საყვედური არასოდეს მიმიღია“

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თამაზ მეჭიაურის განცხადებით, განსხვავებული და რადიკალური პოზიციის გამო მას ბიძინა ივანიშვილისგან საყვედური არასოდეს მიუღია.

მეჭიაურის თქმით, უხერხულია ყველაფრის ბიძინა ივანიშვილზე გადაბრალება იმ დეპუტატებისგან, რომლებიც „მისი კისრით მოვიდნენ“.

მეჭიაურს ჟურნალისტებმა კითხვა დაუსვეს იმის შესახებ, ეთანხმებოდა თუ არა თავისუფალი დემოკრატების წევრ ნინო გოგუაძის პოზიციას, რომ კოალიცია „ბიძინა ივანიშვილმა დაშალა“.



**თამაზ მეჭიაური:**

– ჯერ ძველი სტილით კიდევ მარტია, ქალბატონია და არ გავაკრიტიკებ. ეს არასწორი პოზიციაა, შემიძლია ხატზე დავიფიცო, არცერთი ჩემი რადიკალური ნაბიჯი, თუნდაც იგივე, როცა პრეზიდენტის მისამართით მქონდა, ან მაშინ, როცა დაპირისპირება მქონდა რესპუბლიკელებთან, ან მაშინ, როცა კამპანიასავით დავიწყე, ყველამ თავისთვის იყაროს კენჭი-მეთქი, არაფერი არ შემითანხმებია ბიძინა ივანიშვილთან. მართლა არ ვარ გამხმოვანებელი, როგორც უნდათ, წარმოადგინონ, ეს შეურაცხმყოფელია, როცა ადამიანს აბრალებ, როცა მას თავისი აზრი გააჩნია. შეიძლება ჩემი აზრი მასთან იყოს შესაბამისობაში, შეიძლება არა, მაგრამ მე მისგან ამაზე საყვედური არასოდეს მიმიღია. დარწმუნებული ვარ, არც თოფაძის და არც რესპუბლიკელების დაპირისპირება არ ყოფილა მასთან შეთანხმებული. ეს ფიზიკურად შეუძლებელია.

* * *

თამაზ მეჭიაური არ გამორიცხავს, რომ „ქართული ოცნება“ საარჩევნოდ ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც დააფინანსოს. ასე ეხმაურება მეჭიაური აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პარტიების შემოწირულებათა მიხედვით „ქართული ოცნება“ მეხუთე ადგილზე გავიდა.

– არ გამოვრიცხავ, რომ ბიძინა ივანიშვილმაც დააფინანსოს, ვერ გეტყვით, არ ვერევი მსგავს საქმიანობაში. მაგრამ ნაკლებიც რომ ჰქონდეს „ქართულ ოცნებას“ დაფინანსება, ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ, რადგან, გვინდა თუ არა, სახელისუფლებო რესურსი მაინც არის უკვე ისეთი უპირატესობა, რომელიც დაფინანსების გარეშეც გაძლევს ფორას, – აღნიშნა მეჭიაურმა.

დეპუტატის განმარტებით, ის სახელისუფლებო რესურსის კანონიერ გამოყენებას გულისხმობს.

– ვინც დასაქმებულია, ის ცდილობს, თავის არსებულ სიტუაციას დაუჭიროს მხარი. სულ რომ არავინ უთხრას, მას რჩევები არ სჭირდება. სულ რომ არ მისცეს არავინ ფული, არავინ დაავალოს, ეს კანონიერი, მაგრამ მაინც უპირატესობაა. „ქართულ ოცნებას“, ალბათ, საარჩევნოდ ფული ექნება, თუმცა ცოტაც საკმარისია, – აღნიშნა მეჭიაურმა.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# რუსეთში ეროვნული გვარდია შეიქმნება




კრემლში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელებს შეხვდა. სამსაათიანი თათბირის შემდეგ პუტინმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

– მიღებულია გადაწყვეტილება ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ. მისი ამოცანაა ბრძოლა ნარკობიზნესთან, ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულთან.

ახალ სტრუქტურას სათავეში გენერალი ვიქტორ ზოლოტოვი ჩაუდგება. ის კადრის ჩეკისტი და „პეტერბურგელთა გუნდის“ წევრია.

ზოლოტოვმა (დაბ. 1954 წელს) კარიერა ქარხანაში დაიწყო, სადაც ხარატად მუშაობდა, შემდეგ მსახურობდა სასაზღვრო ჯარებში. აქედან იწყება მისი, როგორც ჩეკისტის კარიერა. ზოლოტოვმა ხანგრძლივი გზა განვლო, იყო უბრალო დამსმენი, შემდეგ ოპერატიული მუშაკი, ბოლოს – გენერალი. სსრკ-ის დროს სუკის მე-9 განყოფილების თანამშრომელი გახლდათ. სსრკ-ის დაშლის შემდეგ პეტერბურგის მერ სობჩაკის დაცვის უფროსად დაინიშნა. ამ დროს ის ვლადიმერ პუტინს დაუახლოვდა.

თავდაპირველად ზოლოტოვი პუტინის სპარინგპარტნიორი იყო. ხელჩართული ბრძოლები ადამიანებს აახლოებს. პუტინი და ზოლოტოვიც დამეგობრდნენ. როცა პრეზიდენტი გახდა, პუტინმა ზოლოტოვი პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად დანიშნა, ახლა კი ეროვნული გვარდიის სარდლის პოსტი ჩააბარა.

პუტინმა განაცხადა, რომ ეროვნული გვარდია შინაგან ჯარებთან, ომონთან და სწრაფი რეაგირების ჯარებთან ერთად იმოქმედებს.

– ეს სამი სტრუქტურა გაერთიანდება და ერთიანი ძლიერი სტრუქტურა ჩამოყალიბდება, – თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ეროვნული გვარდიის შექმნა შემთხვევითი არაა. გაჭიანურებულმა ომმა დონბასში, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულმა კონფლიქტებმა, პლუს დასავლეთის სანქციებმა რუსეთი გამოფიტა. ნავთობზე ფასები ეცემა, რუბლის ვარდნის შეჩერება ვერ მოხერხდა. შემოდგომაზე ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაა მოსალოდნელი. ამ დროს გამორიცხული არ არის მღელვარებები სოციალურ ნიადაგზე, მშიერთა ჯანყი და ა.შ. პუტინიც მასობრივი არეულობების აღსაკვეთად ემზადება.

## ნადეჟდა სავჩენკომ მშრალი შიმშილობა დაიწყო




ძალაში შევიდა რუსული სასამართლოს მიერ ნადეჟდა სავჩენკოსადმი გამოტანილი განაჩენი – 22 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სავჩენკოს ადვოკატმა მარკ ფეიგინმა განაცხადა, რომ სავჩენკომ მშრალი შიმშილობა დაიწყო.

– სასამართლოზე ჩემი ალიბი დამტკიცდა. მიუხედავად ამისა, პატიმრობა მაინც მომისაჯეს! მოვითხოვ, დაუყოვნებლივ გამათავისუფლონ, – აცხადებს სავჩენკო.

## კრუზმა ტრამპი დაამარცხა

ვისკონსინის შტატში პრაიმერიზის მორიგი რაუნდი გაიმართა. ტედ კრუზმა დონალდ ტრამპი მნიშვნელოვანი უპირატესობით დაამარცხა.

ექსპერტების აზრით, ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა. ტრამპის პოზიციები საკმაოდ შეირყა, თუმცა ის ლიდერობას მაინც ინარჩუნებს.

დემოკრატებს შორის სანდერსმა ჰილა-



რი კლინტონის დამარცხება შეძლო. ამით მას რამდენიმე ხმა მოემატა, თუმცა კლინტონი სანდერსს მნიშვნელოვნად უსწრებს. მიუხედავად ამისა, სანდერსი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს.

– ახალგაზრდობას მოვუწოდებ, არჩევნებზე მოვიდეს! შეუძლებელი არაფერია. თუკი ვიაქტიურებთ, გავიმარჯვებთ კიდეც, – ამბობს სანდერსი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## რუსეთში ლიტვის მოქალაქე გაასამართლეს




რუსეთში ლიტვის მოქალაქე ტიმოშაიტისი გაასამართლეს. სასამართლომ ის შპიონაჟში ბრალდებულად ცნო და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

– პროცესი უხეში დარღვევებით ჩატარდა, – აცხადებს ლიტველი დიპლომატი მოტუიზასი.

ლიტვური მხარე განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.

## გერმანია უკრაინისგან კორუფციის ალაგმვას ითხოვს




გერმანიის კანცლერმა მერკელმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა ქრისტიან ლაგარტმა უკრაინისგან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გამძაფრება მოითხოვეს.

ისინი ამტკიცებენ, რომ ამის გარეშე უკრაინისთვის დახმარების გაწევა უაზრობაა.

– თუკი კორუფცია არ აილაგმა, უკრაინაში სოციალური აფეთქება მოხდება და ამას ვერაფერი შეაჩერებს, – ერთხმად აცხადებენ მერკელი და ლაგარტი.

**მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი**

**სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ეფექტური საუკეთესო სამკურნალო საშუალება.**

**მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტის, ართროზის, სახსრებში მარილების დაგროვების, პოდაგრის, ეფექტურია ფრჩხილების სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, კოღოს ნაკბენის დროს. მაღალი ეფექტის მისაღებად მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ – დილას და საღამოს.**

**მოб. ტელ: 599-73-48-21**

## ჯასტინ ბიბერს შავი კულტურის უპატივცემულობაში ადანაშაულებენ



სოციალური ქსელების მომხმარებლებმა კანადელი მომღერალი ჯასტინ ბიბერი შავი კულტურის მიმართ უპატივცემულობაში იმის გამო დაადანაშაულეს, რომ მან დრენდები გაიკეთა. ქერათმიანი ვარსკვლავის ახალმა ვარცხნილობამ თაყვანისმცემლები აღაშფოთა.

22 წლის მუსიკოსმა საკუთარი სახე აიჰეართრადიოს პრემიაზე წარადგინა და საკუთარი რამდენიმე სელფი ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. მუსიკოსის აკაუნტს 64 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

– როდესაც ასეთ სტილს შავკანიანები ირჩევენ, ხალხი ამბობს, რომ თითქოსდა ისინი ნარკომოვაჭრეებს ჰგვანან და უსიამოვნოდ გამოიყურებიან, მაგრამ, როდესაც ამას ისეთი ადამიანები აკეთებენ, როგორიც ბიბერია, ეს მოულოდნელად მაგარ ტრენდად იქცევა, – კომენტარი გაუკეთა მომღერლის სურათს სოციალური ქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა.

– ჯასტინ ბიბერს დრენდი აქვს. ეს ჩვენთვის სხვისი კულტურიდან გადმოღების მიუღებელი მეთოდია, – დაწერა მეორე ინტერნეტმომხმარებელმა.

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

## ბრიტანელმა ქალმა წონაში 83 კილოგრამი დაიკლო



დიდი ბრიტანეთის ჰარტფორდშირის საგრაფოს მცხოვრებმა ქალმა, რომელიც თავისი ზედმეტი წონის გამო თვითმფრინავის ერთ სავარძელზე ვერ ეტეოდა, წონაში 83 კილოგრამი დაიკლო, რის შემდეგაც 11 ათასი დოლარი დახარჯა უკვე ზედმეტი კანის მოსაცილებლად.

24 წლის ემბერ როუზი მაშინ მიხვდა, რომ წონაში უნდა დაეკლო, როდესაც მას ერთის ნაცვლად ორი ავიაბილეთის შეძენა მოსთხოვეს, ვინაიდან საკუთარი გაბარიტების გამო ერთ სავარძელში ვერ მოთავსდებოდა.

ბრიტანელი, რომელიც 159 კილოგრამს იწონიდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი სიმსუქნე არასწორი კვების შედეგი იყო. ეს კი მას შემდეგ მოხდა, როდესაც მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა ინტერნეტში მისი ყოველდღიური რაციონის სურათი გამოაქვეყნა. საკუთარი მენიუსა და ფიგურის დანახვის შემდეგ როუზმა სავარჯიშო დარბაზში სიარული დაიწყო და პარალელურად კალორიების მიღებაც შეამცირა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

### იყიდება

- იყიდება სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) ახალი სრული კომპლექტით, გარანტიით. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.
- იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

- ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავებაშეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს. ტელ: 599-25-50-50.**

# ბარსელონამ და ბაიერნმა ინტრიგები დატოვეს

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ორი მეოთხედფინალი.

**ბარსელონა – ატლეტიკო 2:1**

0:1 ტორესი (25), 1:1, 2:1 სუარესი (63, 74)

**ბარსელონა:** ტერ შტეგენი, ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა, რაკიტიჩი (რაფინია 64), ბუსკეტსი (სერხი რობერტო 80), ინიესტა (არდა თურანი 83), მესი, სუარესი, ნეიმარი

**ატლეტიკო:** ობლაკი, ხუანფრანი, გოდინი, ერნადესი, ფილიპე ლუისი, კოკე, გაბი, საულ ნიგესი (კორეა 90), გრიზმანი (ტომასი 76), ტორესი, ფერეირა-კარასკო (ფერნანდესი 53)

**გაძევება:** ტორესი (35)

მატჩის მთავარი ჰედლაინი ფერნანდო ტორესი გახდა. მატჩის პირველი ტაიმის შუაწელში ელ ნინიომ თავდამსხმელისთვის კლასიკური გოლი გაუტანა ტერ შტეგენს, ხოლო შემდეგ 10 წუთში 2 ყვითელი ბარათი დასტყუა მსაჯს და დარჩენილ დროს თვალი გასახდელიდან ადევნა.

10 კაცით თამაში ბარსელონის წინააღმდეგ კი თითქმის თვითმკვლელობაა. შესვენებამდე სტუმრები დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, ხოლო ანტრაქტიდან გამოსულები უკვე საკუთარ საჯარიმოში ჩაიკეტნენ, რის გამოც სუარესმა ორჯერ დასაჯა. თუ პირველ შემთხვევაში კატალონიელთა შემტევს გაუმართლა, მეორე გოლისას ჩინებულად გაისარჯა დანი ალვეშთან ერთად.

სავარაუდოდ, მე-3 გოლი ყველაფერს გადაწყვეტდა, მაგრამ ატლეტიკო უხეშობის ზღვარზე იცავდა თავს და შინ სტუმრად გატანილი გოლით დაბრუნდა, რაც გარკვეულ შანსებს უტოვებს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლუის სუარესი**

შესაძლოა, ურუგვაელი ფეხბურთელი მოედანზე ყველაზე შესამჩნევი არ იყო და მასთან ბურთი იშვიათად მიდიოდა, მაგრამ თუ თვალს ტაბლოს გადავავლებთ, სადაც მისი გვარი ორჯერ წერია, აღარ იქნება იმის მტკიცება საჭირო, თუ რამდენად მნიშვნელოვანი გოლები გაიტანა კატალონიელთა თავდამსხმელმა.

**ლუის ენრიკე:**

– მადრიდელებმა შესვენებამდე ძალიან კარგი მომენტი შექმნეს და ასევე ჩვენი შეცდომა გამოიყენეს, რომლის გამო გოლი გავუშვით. ტორესის გაძევებამ მატჩის მსვლელობა შეცვალა. შესვენებაზე ვისაუბრეთ თამაშის ტემპის კონტროლზე და გუნდურად შეტევაზე. ვფიქრობ, მეორე ტაიმში გულშემატკივრებმა ისიამოვნეს. ატლეტიკოს თავის საჯარიმოში ჩაკეტვა მოვახერხეთ. თამაშით და გამარჯვებით კმაყოფილი ვარ. შესაძლოა, ვიღაცას შეეშინდა, როდესაც პირველებმა გავუშვით, მაგრამ ჩემს გუნდში ასეთები ნამდვილად არ არიან. ამ მოთამაშეებს თავდაჯერება არ აკლიათ. საპასუხო შეხვედრას მოუთმენლად ველოდებით.

**დიეგო სიმეონე:**

– ჩემი ფეხბურთელებით ამაყი ვარ. ბედნიერი ვარ, რომ ვმუშაობ გუნდში რომელიც ყოველ მატჩში მაქსიმალურად იხარჯება. ამ ბიჭებს გამოსავლის პოვნა ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლიათ. ისინი თავიანთ გზაზე ნებისმიერ ბარიერებს გადაახტებიან. ისინი თავს არ იმართლებენ. გაძევებამდე საუცხოოდ ვთამაშობდით. რა თქმა უნდა, ბარსელონამ მეორე ტაიმში ბევრი მომენტი შექმნა. კატალონიელებმა საჯარიმოში „დაგვამწყვდიეს“. გამოსავლის პოვნა რთული იყო. ჩემი ფეხბურთელები მართლაც ძლიერები არიან. ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ბარსელონას გოლის გასატანად მომენტები ჰქონდა. მას შეეძლო მეტი გაეტანა, მაგრამ ვერ მოახერხა. ეს გუნდსა და ჩვენს გულშემატკივრებს, რომლებიც სტადიონზე საპასუხო მატჩის სანახავად მოვლენ, იმედს უსახავს.

**ბაიერნი – ბენფიკა 1:0**

1:0 ვიდალი (2)

**ბაიერნი:** ნოიერი ლამი, კიმიხი (მარტინესი 60), ალაბა, ბერნატი, ალკანტარა, დუგლას კოშტა (კომანი 70), ვიდალი, მიულერი (გიოტცე 85), რიბერი, ლევანდოვსკი

**ბენფიკა:** ედერსონი, ანდრე ალმეიდა, ჟარდელი, ლინდელოფი, ელიზეუ, ფეისა, პიცი (სამარისი 90), რენატო სანჩესი, გაიტანი, მიტროღლუ (ხიმენესი 70), ჟონასი (სალვიო 83)

მოკრძალებული ანგარიშით მოიგო ბაიერნმა პირველი მეოთხედფინალური მატჩი. ბევრი სპეციალისტი მიიჩნევდა, რომ პეპ გვარდიოლას გუნდი შინაურ ალიან არენაზე 2-3 ბურთს გაიტანდა. დასაწყისიც ასეთი ჩანდა – ბავარიელებმა უკვე მე-2 წუთზე გაუტანეს მეტოქეს და ყველა ბენფიკას განადგურებასა და საპასუხო მატჩის ფორმალურად ჩატარებას ელოდა.



თუმცა რუი ვიტორიის გაწვრთნილი გუნდი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. თავად ბაიერნის შეტევებში არ იგრძნობოდა ის ნაპერწკალი, რასაც ველოდით. მართალია, ედერსონის კართან სახიფათო მომენტები იქმნებოდა, მაგრამ მას რეგულარული ხასიათი არ ჰქონდა. ბავარიელებმა თავისი სათამაშო უპირატესობა მეტ გოლში ველარ გარდასახეს და საპასუხო მატჩის ინტრიგა დაუტოვეს.

ბენფიკა მიუნხენური მატჩით კმაყოფილი უნდა დარჩეს, რადგან შანსი დაიტოვა. მათ ამის იმედს ჟონასის ის 2 მომენტი აძლევთ, რომელიც პორტუგალიელთა თავდამსხმელს მე-2 ტაიმში შეექმნა. ერთია, ჟონასმა მსაჯს ყვითელი დასტყუა და საშინაო მატჩში თანაგუნდელებს ვერ დაეხმარება. ბავარიული კლუბი მაინც ფავორიტად რჩება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ფრანკ რიბერი**

კარგი მატჩი ჩაატარა ფრანგმა ფეხბურთელმა, რომელიც ტრავმის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში არ მოიაზრებოდა. თანაგუნდელებისგან განსხვავებით უფრო მონდომებული ჩანდა და ენერგიულად ირჯებოდა, ამწვავებდა შეტევებს, მიიღო მონაწილეობა საგოლე შეტევაში...

**ხოსეპ გვარდიოლა:**

– მატჩი მძიმე აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ. კარგად ვიცოდი, რომ ბენფიკა მაღალი დონის გუნდია. ასე რომ ჩემს ფეხბურთელებს დიდ ქათინაურებს ვეტყვი. რიბერიმ ძალიან კარგად ითამაშა, ხოლო ვიდალი ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მეოთხედფინალში ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია საპასუხო შეხვედრა, რომელსაც ლისაბონში ჩავატარებთ, სადაც გამარჯვება გვსურს. ჩვენს წყვილში ფავორიტი არავინაა. საერთოდ, ფავორიტად მას მიიჩნევენ, ვისაც უკეთესი სტატისტიკა აქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ახლა ყველაფერი პორტუგალიაში გასამართ საპასუხო შეხვედრაზე დამოკიდებული.

**რუი ვიტორია:**

– ყველაფერმა გეგმის მიხედვით ჩაიარა. ჩემი მოთამაშეებით ვამაყობ. ჩვენ კარგად ვითამაშეთ. რა თქმა უნდა, პრობლემები გვქონდა, მაგრამ მატჩის მიწურული მართლაც მაღალ დონეზე ჩავატარეთ. ცხადია, შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ჩვენი ფილოსოფიისთვის არ გადაგვიხვევია და საერთო ჯამში კარგად გამოვიყურებოდით. სწრაფი გოლის გაშვებას არ ვაპირებდით. ამის მიუხედავად, კარგად ვითამაშეთ და ბაიერნს პრობლემები შევუქმენით. ჩემი აზრით, გოლის გატანასაც ვიმსახურებდით. დაკარგული არაფერია. წინ საპასუხო შეხვედრა გველის, რომელშიც შესაძლებლობის მაქსიმუმს კვლავ ვაჩვენებთ.

# კლოპი დორტმუნდში მოსაგებად ჩავიდა




დღეს გაიმართება ევროპის ლიგის მეოთხედფინალების პირველი შეხვედრები.

**ბრაგა – შახტარი 2.5 3.2 2.88**

ბრაგა თავის პირველ ევროტრიუმფზე ოცნებობს და შორსაც არ არის ამ ფაქტისგან. მეოთხედფინალში გასვლით პორტუგალიურმა გუნდმა უკვე სენსაცია მოახდინა, მაგრამ გაჩერებას არ აპირებს. ამასთან, ბრაგას ამ ეტაპზე უკრაინული გუნდის დამარცხების გამოცდილება აქვს – 2011 წელს პორტუგალიელებმა ევროპის ლიგის მეოთხედფინალში დინამო კიევი სტუმრად გატანილი ბურთის წყალობით დაამარცხა: 1:1 კიევში და 0:0 – პორტუგალიაში.

თუმცა, წინა წელს, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე სწორედ შახტარს შეხვდა, რომელმაც პორტუგალიელები არ დაინდო – 3:0 და 2:0...

დონეცკელები დანაკლისით ჩავიდნენ პორტუგალიაში: დისკვალიფიცირებული არიან კუჩერი და ფრედი, ტრავმა აწუხებს აზევედოს, საეჭვოა რაკიცკის, ტაისონისა და შევჩუკის თამაში. პორტუგალიელებს კი ტრავმების გამო კრისლანი და რიუ ფონტე ვერ დაეხმარებიან.

**მსაჯები შვედები არიან:** იონას ერიკსონი (მთავარი); მატიას კლასენიუსი, დანიელ ვერნმარკი (ასისტენტები); სტეფან იუჰანესონი, მარკუს სტრემბერგსონი (დამატებითი ასისტენტები); მეჰმეტ კულუმი (მეოთხე);

**ვილიარეალი – სპარტა 1.5 4.0 7.0**

ეს გუნდები ევროთასებზე ერთმანეთს არ შეხვედრიან. ბებერ კონტინენტზე უფრო გამოცდილი სპარტაა, მაგრამ ეს ბევრს არ ნიშნავს. ვილიარეალი კარგად თამაშობს ჩეხურ გუნდებთან: 5 მატჩიდან 3 მოგება და 2 ფრე. სპარტა ესპანელებთან უფრო სუსტად გამოიყურება.

**ვილიარეალი დანაკლისით ხვდება მეტოქეს:** დისკვალიფიცირებულია რუკავინა, ხოლო ჯოვანი დოს სანტოსს, ბონერასა და მუზაკიოს ტრავმები აწუხებთ. ამავე მიზეზით ჩეხები გოლეკს მოისაკლისებენ.

მსაჯები რუმინეთიდან არიან: ოვიდიუ ჰაცეგანი (მთავარი); ოქტავიან შოვრე, სებასტიან გეორგე (ასისტენტები); ალექსანდრუ ტუდორი, სებასტიან კოლცესკუ (დამატებითი ასისტენტები); რადუ გინგულიაკი (მეოთხე);

**ბილბაო – სევილია 2.05 3.4 3.6**

ესპანური დერბი. ცხადია, ერთმანეთისთვის კარგად ნაცნობი მეტოქეები, მაგრამ მხოლოდ შიდა სარბიელზე – ევროთასებზე ერთმანეთს არ შეხვედრიან.

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული რაულ გარსია დააკლდებათ, ტრავმები აწუხებთ ლაპორტსა და მერინოს. სევილია სრული შემადგენლობით ეწვია ბასკეთს, მაგრამ კონოპლიანკისა და ნზონზის თამაში საეჭვოა.

**მსაჯები ინგლისელები არიან:** მარკ კლატენბურგი (მთავარი); საიმონ ბეკი, ჯეიკ კოლინი (ასისტენტები); ენტონი ტეილორი, ანდრე მარინერი (დამატებითი ასისტენტები); გარი ბისუიკი (მეოთხე);

**დორტმუნდი – ლივერპული 1.5 4.2 6.5**

ამ გუნდების ნაცნობობა 1966 წლიდან იწყება, როდესაც დორტმუნდმა თასების მფლობელთა თასის ფინალში დამატებით დროში 2:1 დაამარცხა ლივერპული. მას შემდეგ გუნდები ერთმანეთს 2001 წელს შეხვდნენ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე. დორტმუნდში მატჩი 0:0 დასრულდა, ხოლო ლივერპულში მასპინძლებმა 2:0 მოიგეს.

გუშინ კი ლივერპულელთა მწვრთნელი იურგენ კლოპი იმ ქალაქში ჩავიდა, სადაც სახელი გაითქვა. სწორედ დორტმუნდიდან დაიწყო კლოპის გენიალური შრომა და ბორუსიასთან ერთად საკმაო წარმატებას მიაღწია. ახლა კი ეცდება, თავისი ყოფილი გუნდი დაამარცხოს და ლივერპულში მოღვაწეობის პირველივე წელს ერთი ტიტული მაინც მოიგოს.

თუმცა ეს მისია რთულად შესასრულებელი იქნება, რადგან სტუმრებს ტრავმის გამო ბენტეკე, გომესი, ინგსი, ლუკასი და ფირმინიო დააკლდებათ. ამავე მიზეზით ვერ ითამაშებს დორტმუნდელი სუბოტიჩი, ხოლო გუნდოგანის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

**მსაჯები ესპანელები არიან:** კარლოს ველასკო კარბალიო (მთავარი); რობერტო ალონსო, ხუან იუსტე (ასისტენტები); ხესუს ხილ მანსანო, კალოს დელ სერო (დამატებითი ასისტენტები); რაულ კარბანერო (მეოთხე).

# ლელა ჯავახიშვილი საქართველოს ჩემპიონია

თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს ქალთა 73-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა.

ჩემპიონობა ვადამდე ადრე გაინაღდა საქართველოს ნაკრების წევრმა ლელა ჯავახიშვილმა, რომელმაც ბოლო ტურში ყაიმი ითამაშა სალომე მელიასთან და უახლოეს კონკურენტს 1,5 ქულით გაასწრო.

საპრიზო ადგილებისათვის კი უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა, მიუხედავად ფრედ დასრულებული შეხვედრებისა. დასკვნით დღეს შედეგიანი სამი პარტია იყო: ნინო ხურციძემ დაამარცხა ბოლო ტურის წინ მეორე ადგილზე მყოფი მაია ლომინეიშვილი, ხოლო სოფო ხუხაშვილმა ანა გავაშელთან მოგებით მეორეზე გადაინაცვლა.

ტურნირი 6.0-6.0 ქულით ერთბაშად ოთხმა მოჭადრაკემ დაასრულა, რომლებიც დამატებითი მაჩვენებლებით ასე გადანაწილდნენ: 3.სალომე მელია, 4.მაია ლომინეიშვილი, 5.ნინო ხურციძე, 6.მერი არაბიძე.



დებულებით ჩემპიონატზე გათვალისწინებული იყო შემდეგი საპრიზო ფონდი: პირველი ადგილი – 5.500 ლარი; მე-2 ადგილი – 4.500; მე-3 ადგილი – 3.500; მე-4 ადგილი – 2.500; მე-5 ადგილი – 1.500;

გარდა ამისა, სამეულში გასული მონაწილეები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის დაფინანსებით მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატში ქალთა შორის.

## შედეგები

**5 აპრილი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ბაიერნი-ბენფიკა ........ 1:0
ბარსელონა-ატლეტიკო ........ 2:1

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბირმინგემი-ბრაიტონი ........ 1:2
ბრენტფორდი-ბოლტონი ........ 3:1
ბრისტოლი-როტერჰემი ........ 1:1
ბარნლი-კარდიფი ........ 0:0
დერბი-ჰალი ........ 4:0
იფსვიჩი-ჩარლტონი ........ 0:0
ლიდსი-ქპრ ........ 1:1
მიდლსბრო-ჰადერსფილდი ........ 3:0
მილტონი-ვილვზი ........ 1:2
პრესტონი-ფულემი ........ 1:2
უენსდი-ბლექბერნი ........ 2:1
რედინგი-ნოტინგემი ........ 2:1

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

დანდი-სელტიკი ........ 0:0
პარტიკი-დ.იუნაიტედი ........ 1:0

**ჩეხეთი. თასი**

ბოლესლავი-პლზენი ........ 1:0
პოლონეთი. ........ თასი
სოსნოვიცე-ლეხი ........ 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

2016, 7 აპრილი, №82

# ლეო მესი კოპა ამერიკის ნაცვლად შესაძლოა სასამართლო დარბაზში აღმოჩნდეს

ესპანური მედიის ცნობით, არგენტინის ნაკრების თავდამსხმელმა ლიონელ მესიმ შესაძლოა 2016 წლის ამერიკის თასის გათამაშების (კოპა ამერიკა) პირველი მატჩი გამოტოვოს.

ბარსელონის ფეხბურთელი საგადასახადო დანაშაულის საქმეშია ბრალდებული და ესპანეთის სასამართლოს წინაშე ჩვენების მისაცემად უნდა წარდგეს. როგორც ვარაუდობენ, საქმის მოსმენა 4 დღეს გასტანს და, შესაბამისად, მესი ვერ შეძლებს



6 ივნისს ჩილეს ეროვნულ გუნდთან დაგეგმილ მატჩში არგენტინის ნაკრების ღირსების დაცვას.

ბარსელონისა და არგენტინის ნაკრების ფეხბურთელს ბრალად 2007-09 წლების პერიოდში 4,1 მლნ ევროს ოდენობის გადასახადების დამალვა ედება.

ესპანეთის სახელმწიფო ადვოკატურა ლეოს 22-თვიანი პატიმრობითა და ფულადი ჯარიმით დასჯას ითხოვს, პროკურატურა კი, თავის მხრივ, ამ საქმეში დამნაშავედ ფეხბურთელის მამას მიიჩნევს და მის 18-თვიანი პატიმრობით დასჯას ითხოვს.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# ვითა ჩეხებთან ისევ განადგურდა




თბილისის ვითამ ვთბ-ლიგის გასულ ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა, თუმცა ეს მცირე წარმატება მორიგი გამანადგურებელი მარცხით გადაფარა. ქართული კლუბი ჩეხეთში ნიმბურკს 6 კალათბურთელით ესტუმრა და 51:111 წააგო.

ამ გუნდებმა პირველად თბილისში ითამაშეს და ვითა მაშინაც 60 ქულის სხვაობით – 59:119 დამარცხდა.

ჩეხებმა პირველივე მეოთხედი 17 ქულით მოიგეს და მას შემდეგ სხვაობას მეთოდურად ზრდიდნენ. პირველ ტაიმში 60% სიზუსტით ესროდნენ და მხოლოდ 1 დაკარგვა ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ნიმბურკმა მთელი მატჩის განმავლობაში ბურთი სულ 5-ჯერ დაკარგა, რაც ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია, ხოლო კლუბის ისტორიაში სულაც საუკეთესო.

ნიმბურკში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ ამერიკელებს დანიელ ბეჯარანოსა და ანდრე ჯონსს და რუს ვლადისლავ სტარატელევს. შესაძლოა, ვითელების მწვრთნელი ნიკოლას მაზურსი კალათბურთელებს ასტანასთან მატჩისთვის ასვენებდა, რადგან ყაზახებს 10 აპრილს თბილისში მასპინძლობენ, გუნდს, რომელიც ბოლოსწინა ადგილზეა და მე-2 გამარჯვების შანსი აქვთ.

ნიმბურკთან ერთადერთი ლეგიონერის – უკრაინელი კონსტანტინ ანიკიენკოს ანგარიშზე 10 ქულა და 9 მოხსნა მოგროვდა, საუკეთესო კი ახალგაზრდა მაიზერ რევაზაშვილი იყო, რომელმაც 36 წუთში 21 ქულა (მათ შორის, 5 სამქულიანი) და 5 მოხსნა მოაგროვა.

# ილია კოკაია ესპანეთსა და რეალს სტუმრობს



საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის მფლობელი ილია კოკაია რამდენიმე დღეა სამუშაო ვიზიტით ესპანეთის სამეფოში იმყოფება. პირენეის ნახევარკუნძულზე ვიზიტის ფარგლებში იმერული კლუბის მეპატრონეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრა აქვს დაგეგმილი.

ჯერჯერობით ყველა დეტალის მოპოვება არ მოხერხდა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, გუშინ ილია კოკაია მადრიდის რეალს უნდა სწვეოდა და სამეფო კლუბის ბავშვთა აკადემიას უნდა გასცნობოდა. სავარაუდოდ, ამ კლუბებს შორის თანამშრომლობა უნდა შედგეს.

გარდა ამისა, კოკაია ესპანეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ ზურაბ პოლოლიკაშვილსა და ესპანეთის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ლეგენდარულ ვისენტე დელ ბოსკეს შეხვდა.

## ბედნიერება, სიხარული, ღვთის წყალობა თვალხატულა მატრონა ონიანს

12 წლის მოლოდინის შემდეგ შარშან ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულზე, ხარებას, 7 აპრილს, ქვეყანას მოევლინა ჩვენი მართლაცდა თვალხატულა მატრონა. უფალს შევთხოვთ, ღმერთმა გაზარდოს ჯანმრთელი, ბედნიერი, ხვავბარაქიანი, სამშობლოსა და ოჯახის სასახელო ქალბატონი. გვწამს და გჯერა, ასეც იქნება. მადლობა უფალს!

გახსოვდეს, ყველგან და ყოველთვის შენი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე განუხრელად დაიცავი ქრისტეს 10 მცნება, რომლის ნებითაც ამ ბრწყინვალე დღესასწაულზე მოევლინე სოფელსა ამასა. შეგეწიოს ღვთისმშობელი, უფალი იესო ქრისტე, წმინდა გიორგი და არ მოგაკლდეს საქართველოს ოთხი დიდმოწამის მზრუნველი ხელი. ყველგან და ყოველთვის გფარავდეს მიქაელი, გაბრიელი, ყინწვისის მთავარანგელოზი. ამინ! დიდება მაღლითა შინა ღმერთს!

ბებო რუსუდან ქემოკლიძე, ბაბუ თენგიზ ონიანი

## თვალხატულა მატრონა



ნეტავ საიდან მოფრინდა
მატრონა, ჩიტი ღაბუა,
ალბათ, უფალმა გვაჩუქა
და გაახარა ბაბუა.

გფარავდეს ღმერთი უფალი,
წმინდა გიორგი და მატრონა!
წინ გიდევს დიდი სიცოცხლე,

ჯანმრთელი ჭკუა-გონებით,
გვარის და ჯიშის ნათებით.

ნეტავ საიდან მოფრინდა
თვალებხატულა მატრონა,
ალბათ, უფალმა გვაჩუქა
და გაახარა ბაბუა.



*თ.ონიანი*

*დიდება მაღლითა შინა ღმერთს!*

# ლესტერის მერი ქალაქის ქუჩებს ფეხბურთელების სახელს დაარქმევს

საფეხბურთო კლუბი ლესტერი წელს ისტორიულ სეზონს ატარებს. კლაუდიო რანიერის გუნდი ძალიან ახლოს არის ჩემპიონობასთან, რაც ლესტერისთვის ენით აუწერელი წარმატება იქნება.

ამის გამო ლესტერის მერმა პიტერ სოლსბიმ განაცხადა, რომ თუ ლესტერი ინგლისის ჩემპიონი გახდება, მაშინ ამ ქალაქის ქუჩებს კლუბის ფეხბურთელებისა და მწვრთნელის სახელს დაარქმევენ.

მაგალითად, იქნება რანიერიროუდი, შმეიხელსტრიტი, დრინკვოტერდრაივი და ასე შემდეგ.

პიტერ სოლსბის თქმით, ლესტერში ყოველთვის პატივს სცემდნენ სპორტულ გმირებსა და ვარსკვლავებს, ამიტომ ამ ინიციატივას ბევრი მხარდამჭერი ეყოლება.

ბუნებრივია, რომელიმე ქუჩას ლესტერის მთავარი ვარსკვლავის, ჯეიმი ვარდის სახელსაც დაარქმევენ.

# სინიშა მიხაილოვიჩს მილანიდან უშვებენ

იტალიური პრესა იტყობინება, რომ მილანის პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი უახლოეს დღეებში სინიშა მიხაილოვიჩს მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლებს.

ბერლუსკონი მიხაილოვიჩის მუშაობით უკმაყოფილოა და ფიქრობს, რომ მილანი სატურნირო ცხრილში უფრო მაღალ ადგილს უნდა იკავებდეს.

მილანის ახალი მწვრთნელი შესაძლოა ამ გუნდის ყოფილი ფეხბურთელი კრისტიან ბროკი გახდეს, თუმცა ჯერჯერობით ამაზე ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს. ზაფხულში მილანს სერიოზული ცვლილებები ელის.



*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ასტროპროგნოზი
## 7 აპრილისთვის



**ვერძი** – იძულებული გახდებით, თქვენს გეგმებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოთ. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას იღებთ. **კურო** – დიდი ხნის ოცნება გისრულდებათ. თქვენი აქტიურობის გამო გარშემომყოფთა სიმპათიას იწვევთ. **ტყუპები** – ცუდ ხასიათზე ხართ, რაც თქვენს საქმიანობაზეც აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. ცდუნების აყოლა ცუდ შედეგებს გამოიწვევს. **კირჩხიბი** – სამსახურებრივი პრობლემები დღეს კვლავ თავს იჩენს. ჯანმრთელობაზე ყურადღება გაამახვილეთ. საღამო მშვიდ გარემოში გაატარეთ. **ლომი** – სასიცოცხლო პოტენციალი შედარებით იზრდება. საღამოს უსიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. აუცილებლად დაამთავრეთ ძველი საქმეები. მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას. **სასწორი** – პერსპექტიული დღეა. კოლეგებთან ურთიერთობა გიუმჯობესდებათ. გელით შეხვედრა, რომელიც დიდ სიხარულს გპირდებათ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ. ბევრს ნუ იმუშავებთ. მოაწესრიგეთ დოკუმენტაცია. დააფასეთ მცირედი სიხარული. **მშვილდოსანი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. საღამოს დაისვენეთ და გაერთეთ მეგობრების წრეში. **თხის რქა** – სანამ რამეს მოიმოქმედებდეთ, კარგად დაფიქრდით, სიტუაცია გულმოდგინედ შეისწავლეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. **მერწყული** – პროფესიულ საქმიანობაში ინტუიციას მიენდეთ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებული იქნება და მოგებას მოგიტანთ. **თევზები** – მიუხედავად იმისა, რომ მიზეზი არ გაქვთ, მაინც აფორიაქებული ხართ. დამოუკიდებლობისადმი სწრაფვა ოჯახშიც და სამსახურშიც სიტუაციას გაამწვავებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მონარქის ტიტული სპარსეთში; 2. მარგალიტების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი იაპონიაში; 3. ვენესუელას დედაქალაქი; 4. ნაბიჯი ბალეტში; 5. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი; 6. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 7. სახელმწიფოს, ორგანიზაციის შესავალ-გასავლის ნუსხა; 10. ფრანგი მოქანდაკე ქალი; 11. აეროპორტი რომში; 12. მოლიერის კომედია; 13. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 16. სევდიანი, ლირიკული ლექსი; 18. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 19. მარჯვე, ეფექტური ილეთი; 21. საქონლის წონა შეფუთვიანად; 24. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

**თარაზულად:** 1. თხელი, დაბეგვილი ხორცის ნაჭრისგან დამზადებული კატლეტი; 3. მაღალზურგიანი დივანი; 8. ყურე საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროზე; 9. გვერდითი დარტყმა კრივში; 14. ქართველ მეთევზეთა უძველესი შრომის სიმღერა; 15. საკონტაქტო სადენიდან დენის მიმღები მოწყობილობა ტრამვაიზე, ტროლეიბუსზე; 17. უკრაინის პარლამენტი; 20. სინათლის სიკაშკაშის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 23. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონია; 25. დედამიწის მანათობელი; 26. ქალაქი ქართლში; 27. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 28. ორგანიზმის შეუვალობა შხამის, დასნებოვნების მიმართ.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 2. აფინაჟი; 3. ბაიადერა; 4. ინვესტორი; 5. პოლკი; 6. ელარჯი; 8. ელენთა; 11. სიმბოლო; 14. სტალაგმიტი; 15. კვარიათი; 16. რეზერვატი; 17. კომცია; 19. რომანსი; 21. ჯიხვი; 22. ფხოვი.

**თარაზულად**: 1. ჰამბურგი; 5. პიკე; 7. ოფელია; 9. პიპინაშვილი; 10. „ამსტელი“; 12. აჯამეთი; 13. პრობსტი; 16. რელიქვია; 17. კილი; 18. წრუტო; 20. სპანიელი; 22. ფლავი; 23. კაპრიზი; 24. ასკოტი; 25. ვოლტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. „მახა“; 2. ობი; 3. ქობულეთი; 4. ბუ; 5. „ვატერლოო“; 6. ყუმი; 7. „ყაზბეგი“; 10. ჭორი; 11. ფრენბურთი; 12. კემპინგი; 13. ცემი; 16. სხალთა; 18. რენუარი; 19. ხაიამი; 21. ხორგო; 24. ვეკუა.

**თარაზულად**: 1. მარსელო. 3. ქაბაბი; 8. მარულა; 9. ხაჭო; 14. ბროსე; 15. ფერარი; 17. მეფე; 20. თაბახი; 22. ოდერი; 23. ალიევი; 25. უთო; 26. ლაპი; 27. დუმა; 28. კართაგენი.



# „მგზავრები“ 9 აპრილს სანკტ-პეტერბურგში იმღერებენ

ჯგუფი „მგზავრები“ 7 აპრილიდან საგაზაფხულო ტურნეს იწყებს. პირველი კონცერტი ქართველებს 7 აპრილს მოსკოვში აქვთ, 9 აპრილს კი – სანკტ-პეტერბურგში:

„ახალგაზრდა, არტისტული, არანორმალურად ენერგიული ჯგუფი! ჭეშმარიტი ქართული მრავალხმიანობა, ნაციონალური ინსტრუმენტების თანამედროვე ჟღერადობა და განუმეორებელი ატმოსფერო, რომელიც ეროვნული სიმღერის ყველა მოყვარულის გემოვნებას დააკმაყოფილებს. „მგზავრები“ – ეს არის ჯგუფი, რომელიც აერთიანებს გულსა და ადამიანებს. სტუმართმოყვარე მოგზაურები მზიანი საქართველოდან ხელგაშლილი ელოდებიან ყველას მათ კონცერტზე, რომელიც 9 აპრილს გაიმართება, – ნათქვამია სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილი კონცერტის აღწერილობაში.

სწორედ 9 აპრილს დანიშნულმა კონცერტმა გამოიწვია ქართველი საზოგადოების აღშფოთება. 2016 წლის 9 აპრილს 27 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც რუსმა ჯარისკაცებმა თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით რუსთაველის გამზირზე გამოსული მშვიდობიანი დემონსტრანტები დაარბიეს. დაიღუპა 21 ადამიანი, დაიჭრა, მოიწამლა და დასახიჩრდა ასობით დემონსტრანტი.

ინფორმაცია „მგზავრების“ კონცერტთან დაკავშირებით მარი თინაშვილმა გაავრცელა:

– მერე დასხდებიან სუფრასთან, სამშობლოს სადღეგრძელოზე გულზე მჯიღს დაიბრაგუნებენ და იტყვიან, რომ ყველაზე მაგარი ქვეყანა საქართველოა და რაც მაგრები ვართ, ჩვენ ვართ. მაგრები კი არა, ჯერ „ერისიონი“ და „რუსთავი“ უნდა გაგვეტარებინა კაი სირცხვილის კორიდორში, რომ სხვა „კულტურის მოღვაწეს“ არ დაეწყო, „იცით რააა, კულტურა და პოლიტიკა სხვადასხვა რამეა“. არაა სხვადასხვა, როცა იმ ქვეყანაში ჩადიხარ და ტანციმანცობ, ვინც ეს 9 აპრილი მოგიწყო და ყოველ დღე თითო ვაშლის ხემდე გიწევს საზღვარს!

– 37-მანეთიანი მგზავრები; აბა, თქვენ იცით, 9 აპრილს გრძნობით უხავლეთ მაგათ. მერე რა, რომ 27 წლის წინ თქვენზე პატარა გოგონები ჩახოცეს რუსთაველზე, საქართველოზე მღეროდნენ და თქვენზე გაცილებით კარგად. მერე რა, რომ ეგ ქვეყანა დღესაც ისეთივე დამპყრობელია, როგორიც მაშინ, 27 წლის წინ რომ იყო. გრძელი ტურნე გაქვთ მანდ, სააღდგომოდ როდიონოვის საფლავზეც გადით ბარემ და გადაუგორეთ წითელი კვერცხები, – ასეთია „მგზავრების“ 9 აპრილს დანიშნული კონცერტის შეფასებები.




# ტასო ბარნოვა „ილო ბეროშვილის შოუდან“ გაუშვეს



მსახიობი თათია სამხარაძე, იგივე ტასო ბარნოვა, „ილო ბეროშვილის შოუდან“ გაუშვეს. ერთ-ერთ ბოლო გადაცემაში ტასო მსახიობმა ნოდარ გურგენაშვილმა შეცვალა. მან, თათიას მსგავსად, ჩართვები და სიუჟეტები მოამზადა, რომელსაც შოუსთვის ტასო ბარნოვა ამზადებდა.

არც „ილო ბეროშვილის შოუს“ და არც თათია სამხარაძეს ამასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ.

მოამზადა
ეკა ირემაშვილმა

# თამარ გვერდწითელი – სამშობლოს მოღალატე?



საქართველოში დამკვიდრებული ტენდენციით რუსეთში წასულ ხელოვანებს სამშობლოს მოღალატეებს უწოდებენ. მათ შორის არიან სოსო პავლიაშვილი, ქეთა თოფურია, თემურ თათარაშვილი, თამარ გვერდწითელი... მომღერალი თამარ გვერდწითელი კარგა ხანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს და რუსეთში ცხოვრობს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მომღერლის ოფიციალურ გვერდზე სპეციალური განცხადება გავრცელდა, რომელსაც მომღერლის ერთ-ერთ სოლო-კონცერტზე შესრულებული ქართული სიმღერა ერთვის:

– ამ სიმღერის მერე ნუთუ ვინმეს აქვს სურვილი თქვას, რომ თამარ გვერდწითელი მოღალატეა?! იცით, რას გეტყვით?! თქვე ჩათლახებო! ქალი, რომელსაც საქართველოს გონება და ზოგადად საქართველო აღარ უყვარს, არც ქართულენოვანს შეასრულებს ოდესმე და არც საქართველოსკენ გამოიხედავს.

ზოგადად ასე არიან ადამიანები. გინდ ნაციზმად ჩათვალეთ, გინდ ეროვნულ დისკრიმინაციად. ადამიანები როცა ვერ იტანენ სხვა ეროვნებას, ისინი არც მათ ენას აღარ ეკარებიან და არც კავშირს აბამენ არსებულ ეროვნებებთან! საქართველოდან წასულებს მოღალატეებად ნუ თვლით. იქ, სადაც კარიერას იწყობ და უკეთესობას ხედავ, იქ უნდა იყვე თუნდაც სამუდამოდ! ტაკ ლაგიჩნა!“

# პარიზის დისნეილენდის თანამშრომელი „მოჩვენებათა სახლში“ დაიღუპა



პარიზის დისნეილენდში ტექნიკური სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი გარდაცვლილი ერთ-ერთი ატრაქციონის „მოჩვენებათა სახლის“ ტერიტორიაზე იპოვეს.

პოლიციის მონაცემებით, მამაკაცი სამუშაოს შესრულების დროს დენის დარტყმისგან ატრაქციონის ერთ-ერთ შენობაში დაიღუპა. სამართალდამცავი ორგანოები გამოძიებას ატარებენ.

45 წლის დაღუპული მამაკაცი, რომლის ვინაობა არ სახელდება, პარკში 2002 წლიდან მუშაობდა. პარიზის დისნეილენდის მუშათა კავშირის წარმომადგენელმა პატრიკ მალდიდიერმა განაცხადა, რომ დაღუპული თანამშრომელი მეგობრული და კარგი ადამიანი იყო და პარკის ხელმძღვანელობის სახელით მის ახლობლებს მიუსამძიმრა.

კახა ხატიაშვილი

# სამგლოვიარო განცხადებები

## დედის ტკივილი



ჩემო სანატრელო შვილო, ზაზა, უშენოდ 40 უსაშველო, გაუსაძლისი დღე გადის 10 აპრილს, მე კი იმედი მაქვს, რომ შემოაღებ კარს და შემომძახებ, დე, სადა ხარ?

13 აპრილს კი შეგისრულდება 50 წელი, რომელიც აღგენიშნება ზეციურ სივრცეში. ჩემო საყვარელო შვილო, ჯანმრთელობით გათამამებული, გრიპს არ დაუწექი და სამსახურებრივ საქმიანობას შეეწირა შენი დაუდგრომელი სიცოცხლე, რომელმაც დედას, მამას, მეუღლეს, დას, შვილებს დაგაშორა და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე. როგორი თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი წასვლა ამქვეყნიდან. ნუთუ ამ წუთისოფელში შენი ადგილი არ იყო? შენ ჩემი დიდი ტკივილი და მოურჩენელი იარა ხარ. არ ვიცოდი, რომ უშენოდ სიცოცხლეს შევძლებდი, მაგრამ ვარ და ვაი ამ სიცოცხლეს. უშენოდ სიცოცხლე სასჯელად მექცა. ვეფერები მიწას, ქვას, რომელიც ახლა შენი დედაა. უზომოდ ენატრები შენს მამას, მეუღლეს, შვილებს, დას, დისშვილებს, რომლებიც ზაზა ძიას გეძახდნენ და საფლავზე შენს სურათს კოცნიან.

შენ გაიყოლე ჩვენი სიხარული, სიხალისე, ცხოვრებისეული ინტერესები და თვით სიცოცხლის სიყვარულიც.

**შენ უცნაურად წახვედი ჩვენგან,**
**ყველას უზომოდ გვატკინე გული,**
**ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ზაზა**
**და გაგინათოს ლამაზი სული.**
**ჩვენი ტკივილი, სევდა, დარდი ხარ,**
**ჩვენო ზაზიკო, ყველას გვაკლიხარ.**

როგორ მინდა, ღმერთმა ინებოს და მალე შეგვახვედროს ერთმანეთს. მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე!

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩემო ზაზიკო!

შენი გაუბედურებული დედა – იზოლდა ქანაშვილი

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**

- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;



**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**




MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1. ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2. ხმის რეგულირება.
3. ერგება ორივე ყურზე.
4. პატარა, მსუბუქი, შეუმჩნეველი.
5. კომპლექტშია: მოწყობილობა 1 ც რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 – ჩასადები ყუთი, ინსტრუქცია.



მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## პროგრამა

**ხუთშაბათი**
**7 აპრილი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.00** სოციალური თოქ-შოუ **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **23.00** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ჩემი გულის სალბუნი**"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "მარი კიური" **13.00** დ/ფ "ნამდვილი პანამა" **14.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" – სიცოცხლის სადარაჯოზე **16.00** დ/ფ "ჩვენი ყოველდღიური საწამლავი **19.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.05** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **4** სერ. **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ. "**ქაოსი**" (ე.ანდერსონი) **02.15** მხ/ფ. "**ზარი 2**" (ს.ბეიკერი) **04.00** ერთხელ საქართველოში **04.45** მხ/ფ. "**ჩემი ძმაკაცის შეყვარებული**" (ა.ბოლდუინი)

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**9.00, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30, 17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **10.30, 22.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ძვლები**" **15.30** Discovery- მენტალისტი კით ბარი **16.30** საუკეთესო ხელნაკეთი **20.30 20.30 23.30** მხ/ფ "**კოქტეილი**" **1.25 ID Extra** - მოჩვენებებით შეპყრობილი **2.25,** URBAN STORIES **3.15** ჯიდიპედია

**06.15** პატერიკი **06.25** სჯანი **06.40** ქართული ალბომი **07.05** დ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოსელი" **07.40** კვირიაკის სიუჟეტი-ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **12.20** მხ/ფ "**ძნელი დასაწყისი**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "შრომატე სანგუანა ტრიქოლოგი" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართ ან/ფ **15.40** ყველაზე, ყველაზე..."არაჩვეულებრივი მექანიზმები" **15.50** დ/ფ "მიწის სჯული" **16.40** ჩვენი ფონდი **17.10** საუფლონი-ხარება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** ჩვენი ფონდი-ხარება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა **20.40** ძილი ნებისა "ჯადოსნური კვერცხი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.40** ფსალმუნის განმარტება **21.45** განთიადის სიუჟეტი **22.25** ხარება-"გიხაროდენ, ქალწულო და დედაო..." **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** შუადღე ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.00** "კონტაქტი" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**უშენოდ ვერ ვსუნთქავ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ცოდვილი სისხლი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3006 |
| ევრო | 2.6144 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2744 |
| 100 რუსული რუბლი | 3.3687 |

## ამინდის პროგნოზი 6 აპრილისთვის





# 5 აპრილიდან



## პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე

### ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

წიგნში შესულია საქართველოს მთავარი პროკურატურის არქივში არსებული ცხრა ტომიდან ამოკრებილი მასალები (1994-2004 წწ.), რომლებიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტს ეხება, ასევე დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ ჩატარებული მოსმენა-გამოკითხვები.

გამოკითხვაში ნებაყოფლობით მიიღეს მონაწილეობა როგორც პრეზიდენტის დაცვის წევრებმა, ასევე მაშინდელმა თანამდებობის პირებმა, რომელთა გარემოცვაშიც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა.

წიგნს ერთვის საინტერესო ფოტომასალა, პირთა და გეოგრაფიული საძიებელი.

# 7 აპრილიდან

ლაშა თაბუკაშვილი

## ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!

### „ახალ თაობასთან" ერთად

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




„ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!" ლაშა თაბუკაშვილის პირველი რომანია.

წიგნში მოთხრობილია იშხნელთა გვარის ორი წარმომადგენლის ისტორია. ერთი ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების შვილია, რომელიც რთული ცხოვრების შემდეგ წარმატებული ბიზნესმენი ხდება.

მეორეა საქართველოში მცხოვრები, გამომცემელი ბექა იშხნელი. იგი ამერიკელი ქართველის შორეული ნათესავია. ისინი ნაწარმოების დასაწყისშივე ხვდებიან ერთმანეთს...

## გაზეთი „ახალი თაობა" წარმოგიდგენთ

# 8 აპრილიდან

იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

წიგნი შედგენილია არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი




## გაზეთი „ახალი თაობა" წარმოგიდგენთ







# წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით







- 25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
- 1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
- 8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
- 15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
- 22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
- 29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა







ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი


## ბარსელონა ფელიპე კოუტინიოთი დაინტერესდა



ლივერპულის ბრაზილიელი ნახევარმცველი ფელიპე კოუტინიო ბოლო პერიოდში შთამბეჭდავ თამაშს აჩვენებს. კოუტინიო ლივერპულის ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელია.

მისი კარგი თამაში ბარსელონის თვალთახედვის არეშიც მოექცა და კატალონიელები მზად არიან, ზაფხულში კოუტინიოს ტრანსფერზე იმუშაონ.

ბარსელონა ადრეც იყო დაინტერესებული კოუტინიოთი, მაგრამ საქმე სერიოზულ მოლაპარაკებამდე არ მისულა. როგორც ჩანს, ამჯერად ბარსელონა უფრო სერიოზულად არის განწყობილი.

ფელიპე კოუტინიო წლების განმავლობაში იტალიურ ინტერს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ გუნდში თავის დამკვიდრება ვერ შეძლო, რის შემდეგაც ნისლიან ალბიონს მიაშურა.

## რეალი ხამესის გაყიდვას აპირებს



კოლუმბიელი ფეხბურთელი ხამეს როდრიგესი, დიდი ალბათობით, მადრიდის რეალს დატოვებს.

ბოლო პერიოდში ხამესი იშვიათად ხვდება რეალის ძირითად შემადგენლობაში და ბარსელონასთან ის მოედანზე საერთოდ არ გამოსულა.

როდრიგესს საკმაოდ ბევრი მსურველი ჰყავს, განსაკუთრებით ინგლისური გუნდები აქტიურობენ, მათ შორის ყველაზე მეტად — მანჩესტერ იუნაიტედი. მანჩესტერი ზაფხულში სერიოზულად გეგმავს გაძლიერებას და ხამესი ერთ-ერთი ფეხბურთელია, რომლის შეძენაც მას სურს.

რეალი ხამესს იაფად არ გაყიდის. კოლუმბიელის სატრანსფერო თანხა 60 მილიონ ევროს უტოლდება.

ხამესი რეალში 2014 წლის ზაფხულის შემდეგ თამაშობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ცნობილი სტრიპტიზიორი უკრაინული ნაქარგებითაა გატაცებული



სტრიპტიზ-მოცეკვავე და ფოტომოდელმა დიტა ფონ ტიზმა აღიარა, რომ ნაქარგებზეა შეყვარებული. უკრაინული ეროვნული ნაქარგებით გატაცების თაობაზე სტრიპტიზის ვარსკვლავმა ინსტაგრამში საკუთარ აკაუნტში დაწერა.

43 წლის მოცეკვავემ გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელშიც ის და პიარსააგენტოს თანამშრომელი ფიონ ლიჰი ნაქარგებში გამოწყობილნი პოზირებენ.

— ჩვენს საყვარელ სამოსში, — განმარტა სურათისთვის გაკეთებულ წარწერაში დიტა ფონ ტიზმა და იქვე დააზუსტა, რომ მას და ლიჰის უკრაინელი დიზაინერის ვიტა კინის მიერ შექმნილი ნაქარგები ამშვენებთ.

ფონ ტიზი ამერიკელი სტრიპტიზშოუს შემსრულებელია, ხოლო მის საფირმო ნომერს წარმოადგენს უზარმაზარ ბოკალში ცურვა. 2005 წლიდან 2007 წლის ჩათვლით ის მუსიკოს მერილინ მენსონის მეუღლე იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი



•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

— გასულ კვირას გაზეთში განცხადება გამოვაქვეყნე, რომ ვეძებ ცხოვრების თანამგზავრს.

— მერე?

— მთელი ტომარა წერილები მივიღე.

— რაო, რას გწერენ?

— ძირითადად ერთსა და იმავეს, „ჩემი წაიყვანე".

•••

ბარში მამაკაცი შედის და ბარმენს ეუბნება:

— 200 გრამიან ჭიქაში 300 გრამი ვისკი დამისხი.

— ეს ხომ შეუძლებელია? — ეკითხება ბარმენი.

— მაშინ 150-150 გრამი დამისხი ორ ჭიქაში.

ბარმენმა დაუსხა. მამაკაცმა ორივე 200 გრამიან ჭიქაში ჩაასხა, ისე, რომ წვეთიც არ გადმოიღვარა.

— აი ეს მესმის, ნამდვილი ილუზიონისტი ხარ!

— ილუზიონისტი მე კი არა, შენ ხარ, მე კი საგადასახადოდან ვარ!

•••

შვილი დედას ურეკავს:

— დედა, მამას ჩვენს ახალ მაგიდის გადასაფარებელზე ყავა გადაესხა და როგორ მოვიქცე, გავრეცხო თუ გადავაგდო?

— გადასაფარებელი სარეცხ მანქანაში შეაგდე, საღამოს მოვალ და გავარკვევ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 2. კუთხე საქართველოში; 3. რაიმეს ცვლის, განვითარების პროცესი; 4. მზის გარშემო მოძრავი მცირე ზომის ციური სხეული; 5. ვულკანი ისლანდიაში; 6. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 14. ბელნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 15. აეროპორტი ბუდაპეშტში; 16. პროვინცია ირანში; 17. საბერძნეთის კუნძული ეგეოსის ზღვაში; 19. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 21. სამშენებლო კომპანია საქართველოში; 22. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი.

**თარაზულად:** 1. კინოცენტრი იტალიაში; 5. საჭმლის საჭმელი, იაპონური ხის ჩხირები; 7. შაქრიანი დიაბეტის ძველი ქართული სახელწოდება; 9. მოძღვრება ავიაციის შესახებ; 10. ხმელთაშუა ზღვისპირეთში გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 12. იტალიური სახლების შიდა, დახურული ეზო; 13. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მონასტერი თეთრი-წყაროს რაიონში; 17. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 18. იაპონური აბანო; 20. მობილური კავშირგაბმულობის ფრანგული კომპანია; 22. მიქელანჯელოს ქანდაკება; 23. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 24. აზერბაიჯანული მაწონი; 25. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




ლურჯი წითელი ყვითელი შავი